



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გელა მარკოიძე

ფინანსური რისკების და მართვის თავისებურებანი
საერთაშორისო ბიზნესში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა:
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი.
ნიკოლოზ ნაცვლიშვილი

თბილისი 2021

ანოტაცია

ფინანსური საქმიანობის ნებისმიერ მიმართულებას მუდმიავდ თან სდევს რისკები გამომდინარე აქედან სამაგისტრო თემა „ფინანსური რისკების მართვის თავისებურებები საერთაშორისო ბიზნესში“ მიეძღვნა რისკების მართვის თავისებურებების საკითხს.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილულია რისკების გავლენა მათი შეფასებისა და მართვის მეთოდები, რისკის არსი როგორც მეცნიერება და მისი მნიშვნელობა ფინანსებში, ასევე განვიხილეთ ფინანსურ რისკთა კატეგორიები და მათი ანალიზი და ბოლოს ამ თავის დასასრულს ფინანსურ რისკებზე მოქმედი ფაქტორები მათი მართვის მეთოდები და პროცესები.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია ფინანსური რისკების მართვის შესაძლებლობები მსოფლიოში, ფინანსური რისკების ზრდა გლობალიზაციის პირობებში და ბოლოს ფინანსური რისკების სტაბილურობა მთავრობის მიერ გლობალიზაციის პირობებში.

ნაშრომის მესამე თავში კი განხილულია ფინანსური რისკების ანალიზი საფინანსო სექტორებში, ფინანსური რისკების მართვა კომერციულ ბანკებში, ამ თავის დასასრულს კი მოვახდინეთ საქართველოს საბაზრო გახსნილობა და ფინანსური რისკების კვლევის შედეგების განხილვა.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოხდა რისკების განზოგადება და კვლევის შედეგად მიღებული შედეგების ანალიზი კერძოდ კი ანგარიშწორების სავალუტო და საკრედიტო რისკების. გამოვკვეთეთ ის პრობლემები რომლსაც რისკების მართვასთან დკავშირებით აწყდებიან კომპანიები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით გავკეთეთ დასკვნა თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსური რისკების მართვის გაუმჯობესება და სტაბილურობის შენარჩუნება.

The financial risks and management of peculiarities in international business

ANNOTATION

Any direction of financial activity is always followed by risks, therefore present master thesis by the topic of “Peculiarities of financial risk management in international business” is dedicated for issues of peculiarities of risk management.

Firs chapter of this study reviews influence of risks their assessments and methods of management, essence of risk as a science and its importance into finances, also there are discussed categories of financial risks and their analysis and at the end of this chapter examined influential factors of financial risks their management methods and processes.

The Second chapter of this thesis discussed the topic about possibilities of financial risk management in the world, increasing financial risks in the conditions of globalization and at the last part of this chapter I consider financial risks stabilization by government in the conditions of globalization.

Third chapter of current study reviews financial risks analyses in the financial sector, moreover financial risks management in commercial banks and at the end we made examination of Georgian market openness and survey results of financial risks.

Conclusive part encompasses risks generalization and results analyzing based on survey, in particular risks of credit and exchange payments. We identified these problems which companies faces while managing risks. In a shell based on the obtained results we conclude how to advance risk management and keep stabilization.

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი 1. რისკების გავლენა მათი შეფასების და მართვის მეთოდები.....	8
1.1 ფინანსური რისკის არსი.....	8
1.2 ფინანსურ რისკთა კატეგორიები და მათი ანალიზი.....	13
1.3 ფინანსური რისკებზე მოქმედი ფაქტორები მათი მართვის მეთოდები და პროცესები.....	21
თავი 2. ფინანსური რისკების მართვის შესაძლებლობეო მსოფლიოში.....	31
2.1 ფინანსური რისკების ზრდა გლობალიზაციის პირობებში	31
2.2 ფინანსური რისკების სტაბილურობა მთავრობის მიერ გლობალიზაციის პირობებში	38
თავი 3. ფინანსური რისკების ანალიზი საფინანსო სექტორებში.....	45
3.1 ფინანსური რისკების მართვა კომერციულ ბანკებში.....	45
3.2 საქართველოს საბაზრო გახსნილობა და ფინანსური რისკების კვლევის შედეგები	55
დასკვნა	63
გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფია	Error! Bookmark not defined.

შესავალი

თემის აქტუალობა. ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით აშკარა გახდა ის რომ მსოფლიოს მეცნიერული მიღწევების მიუხედავად, ისეთ არაპროგნოზირებად გარემოში რომელშიც დღეს ჩვენ გვიწევს ცხოვრება, შეიძლება არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კომპანია ან ქვეყანა, არამედ მთლიანად მსოფლიო აღმოჩნდეს ისეთი დილემის წინაშე რომელმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მთლიანად ფინანსური სამყაროს მომავალი.

ნებისმიერი საქმიანობის სახე რომელიც დაკავშირებულია ფინანსური სარგებლის მიღებასთან მას აუცილებლად თან ახლავს რისკები, ფინანსური რისკი კი ეს არის ნებისმიერ ინვესტიციაზე ან საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებით ფულის შესაძლო დაკარგვა, რომლის გათვალისწინებაც მოუწევს, ამა თუ იმ ეკონომიკურ სუბიექტს.

საზოგადოებაში აქტუალური ხდება მოსაზრება იმსათან დაკავშირებით რომ განვითარებამ და გლობალურობამ, მსოფლიოს მასშტაბები შეამცირა, რათქმაუნდა აქ ნაგულისხმევია ის რომ დღეს უფრო მარტივად და ნკლები ძალისხმევით შეიძლება საქმიანი ურთიერთობების ჩამოაყალიბო მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ისე რომ სახლიდან გასვლაც კი არ დაგჭირდეთ, გამომდინარე აქედან განვითარებამ, გლობალურობამ და სხვა მრავალმა ცვლილებების გავლენამ, თავისი შედეგები გამოიღო ფინანსურ სამყაროშიც, ამ ყველაფერმა კი თავის მხრივ კიდევ უფრო აქტუალური გახადა როგორც შესაძლებლობების ასევე რისკების მართვასთან დაკავშირებული საკითხები.

მსოფლიოს არაერთგზის ეკონომიკური კრიზისი ახსოვს, ხშირ შემთხვევაში ქვეყნების დონეზეც კი ძალიან რთულია განსაზღვრო ის თუ რა ფინანსურმა ან არა ფინანსურმა მოვლენამ შეიძლება გამოიწვიოს იგი. მცირე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებს არ შესწევთ ძალა თავიანთი ფინანსური რესურსების ხარჯზე მოახდინონ მნიშვნელოვანი ცვლილებები მსოფლიო დონეზე მაგრამ დიდი ეკონომიკის მქონ ქვეყნების არასწორმა ფინანსურმა მოვლენამ შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი რომელიც მთელი მსოფლიოს

ფინანსურ სამყაროზე უარყოფითად იმოქმედებს. ამის კარგი მაგალითი არც თუ ისე შორეულ წარსულში ახსოვს მსოფლიოს. ფინანსური კრიზისები შეიძლება გამოიწვიოს როგორც ომებმა ასევე, პანდემიებმა და ა.ს.შ.

თანამედროვე ფინანსურ სამყაროში არასტაბილურ და კრიზისული მდგომარეობის განვითარებასთან ერთად იზრდება რისკები შესაძლო ფინანსური დანაკარგებთან დაკავშირებით. სწორედ ასეთ დროს ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს რისკების სწორად შეფასება და მათ მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება.

სიახლეს ნამდვილად არ წარმოადგენს ის ფაქტი რომ დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით ხშირ შემთხვევაში იყენებ რისკების დაზღვევის სხვადასხვა ტრადიციულ თუ ახლად შექმნილ მეთოდებს.

საერთაშორისო საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქმიანი ურთიერთობების დამყარებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია პროცესების მართვის და მათი რეგულირების თანამედროვე მეთოდებით გამოყენებას. არასტაბილური გარემო პირობების შედეგად არა მხოლოდ კონკრეტული კომპანიები არამედ ზოგ შემთხვევაში ცალკეული ქვეყნებიც ხშირად არიან ხოლმე ფინანსური კრიზისის წინაშე, გამომდინარე აქედან საერთაშორისო ფინანსური რისკების ადეკვატურად შეფასება და კრიზისიზის დაძლევის გზების პოვნა დღითი-დღე უფრო აქტუალური ხდება.

ფინანსური რისკების მართვასა და მისი თავისებურებების შესწავლის აქტუალურობას ასევე განაპირობებს ის საკითხი რომ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისათვის აუცილებელია შესწავალილი იქნას შესაძლო რისკები რომელიც შეიძლება წარმოიშვას აღნიშნული ურთიერთობების დროს ასევე უნდა იქნას შესწავლილი გამოსავლის გზები რომელიც იქნება ერთგვარი დაზღვევა ამა თუ იმ რისკის დადგომისას.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია ფინანსური რისკების იდენტიფიცირება მათი გამოსავლისა მართვის თავისებურებების განსაზღვრა საერთაშორისო ბიზნესში ამისათვის კი ჩვენი ამოცანას წარმოადგენს

- ✓ გლობალიზაციის შედეგად წამოქმნილი რისკების გამოვლენა,
- ✓ რისკების შეფასებისა და მართვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი
- ✓ კომერციულ ფინანსურ სექტორებში რისკების მართვის ანალიზი
- ✓ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომპანიების რისკი მართვის მეთოდების შერჩევის ფაქტორთა განსაზღვრა და მათი ეფექტურობის შეფასება და რეკომენდაციები.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია ფინანსური რისკების მართვის თავისებურებები მსოფლიოში ხოლო კვლევის ობიექტს კი წარმოადგენენ საქართველოში მოქმედი მომსახურების ან საქონლის ექსპორტ-იმპორტიორი კომპანიები.

კვლევის მეთოდები: საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე ჩავტარეთ როგორც რაოდენობრივი ასევე სტატისტიკურ კვლევა. რაოდენობრივი კვლევა იყო როგორც ელექტრონოული ასევე სატელეფონო სახის. რაც შეეხება სტატისტიკურ კვლევას ძირითადი ინფრომაცია მოპოვებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდიდან.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა: საერთაშორისო ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით მრავალი სტატია და ნაშრომი არსებობს რომელიც უმეტეწილად რისკ მენეჯმენტის სახელით არის ცნობილი. მიუხედავად ამისა პრობლემა მდგომარეობს იმაში რომ ჩვენს მიერ მიღებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შედეგად ფინანსური რისკების იდენტიფიცირება და მართვა დროულად იქნეს შესაძლებელი.

კვლევის სიახლეები: ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს ის რომ ამ საკითხზე არსებული ნაშრომებისა და სტატიების ანალიზზე დაყრდნობით რომელსაც თან დაერთვის ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა განასხვავებს სხვა ნაშრომებისაგან იმით რომ განხილული იქნა ფინანსური რისკების სახეები მათზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორები ასევე კვლევის

შედეგად გამოვლენილი იქნა რისკების მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები და გაკეთებული იქნა შეფასებები და რეკომენდაციები.

მატერიალურ-ტექნიკური, თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:
ჩემს მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული იქნა როგორც ქართველი ასევე უცხოელ ღვაწლმოსილი მეცნიერთა მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები. ამასთანავე გამოვიყენეთ სქართველოს ოროვნული ბანკის ბრძანებები და დებულებები.

ჩემს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი შედგება. 68 გვერდისაგან რომელშიც შედის ანოტაცია, შესავალი, სამი თავი, შვიდი ქვეთავი, დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურა

თავი 1. რისკების გავლენა მათი შეფასების და მართვის მეთოდები

1.1 ფინანსური რისკის არსი

რისკის არსებობა ზოგადად რაღაცის შესაძლო დანაკარგთან შეიძლება გავაიგივოთ, მაგრამ იგი შეიძლება არ გულისხმობდეს მხოლოდ ურყოით შედეგს, ის ასევე შეიძლება იყოს სარგებლის მომტანი რატექმაუნდა ნებისმიერი საქმიანობის სფეროს თან ახლავს მისთვის დამახასიათებელი შესაძლო რისკები რომელიც გასათვალისწინებელია, რაც შეეხება ფინანსური რისკების არსს ეს არის ერთგვარი განუსაზღვრელობა ეკონომიკური საქმიანობის მართვის ნებისმიერ საფეხურზე რომელშიც, მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს საბოლოო შედეგს.

“საბაზრო ურთიერთობების თეორიაში რისკის ცნება პირველად ფრანგმა ეკონომისტმა რ. კანტილონმა შემოიტანა, რომელიც რისკს, როგორც კონკურენციის წესების მიხედვით წარმართული ნებისმიერი სავაჭრო საქმიანობისათვის თვისების სახეობად განიხილავდა.” [გ.ცაავა 2018]

ფინანსური რისკები თვის მხრივ დამოკიდებულია როგორც შიდა ასევე გარე გარემო პირობებზე, შიდა ფინანსური რისკების განსაზღვრა და მართვა დამოკიდებულია ორგანიზაციაზე და გადაწყვეტილების მიღებაც შედარებით მარტივია ვიდრე გარე გარემოს შედეგად გამოწვეულ რისკებზე. ფინანსური საქმიანობის სფეროში, ფინანსურ რისკებს ანუ იგივე ფინანსურ განუსაზღვრელობას იწვევს იმფორმაციის არასრულფასოვნება ან საერთოდ იმფორმაციის არ არსებობა, ამ მოსაზრებებთან ახლოს დგას ასევე იმფორმაციის უზუტობაც და ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს არის მიზეზი იმ დანაკარგებისა რომელიც მიიღება. თვალს თუ გადადვლებთ ნეოკლასიკური სკოლის მოსაზრებებს ფინანსური რისკებისა და განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით აღმოვაჩინოთ რომ ისინი ამ ორ უკანასკნელ ცნებას ერთმანეთს უტოლობენ, თანამედროე თეორიტიკოსების ნაწილი სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევს, რომ სწორედ განუსაზღვრელობა წარმოშობს შესაძლო რისკებს. რაც შეეხება ამ ორს

შორის შესაძლო მცირე განსხვავებაზე მოკლედ რომ ვთქვათ ეს არის ალბათობის არსებობა ამათუ იმ გარემოს დადგომასთან დაკავშირებით რამდენად შეიძლება მოხდეს იგი და რათქმაუნდა იმფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

რისკ-მენეჯმენტი გვასწავლის რომ, ფინანსური რისკები თავის მხრივ მოიზრებს როგორც სახსრების დაკარგვას ასევე გაუთალისწინებელ ხარჯებს, და მომავალში მისახები სახსრების დაკარგვასაც თუ ამ მიმდინარეობას დავაკვირდებით რთული ნამდვილად არა არის იმ ლოგიკურ ბმათა დანახვა რომელიც ასვე შეიძლება ახასიათებდეს განუსაზღველობასაც. ეკონომიკის ყველა დარგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ერთი რომელიმე მათგანის უარყოფითმა ქმედებამ შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენოს სხვადასხვა სფეროების საქმიანობის მოგებიანობა, მრავალი ფინანსური თეორების არსებობის მიუხედავად მთლიანად რისკების კლასიფიკაცია და მათი ერთ ჩარჩოში მოქცევა თითქმის შეუძლებელია იმიტომ რომ რისკის უამრავი სახეობა არსებობს და შეიძლება ერთი რომელიმე საერთოდ არ ჰგავდეს მეორეს ამ ყველაფერს კიდევ უფრო მიუღწევლს ხდის გარემო პირობები რომელიც დინამიკურად მუდმივად იცვლება, მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ის გამოცდილება და მიღწევები რომელებიც დღეს არსებობს ფინანსურ სამყაროში ამ ყველაფერმა რათქმაუნა თავისი შედეგი გამოიღო და მოხდა ძირითადი რისკების განსაზღვრა რომელის წინაშეც ყველაზე ხსირად უწევთ ხოლმე გამკლავება. ამ საკითხის განხილვს დეტალურად მოვახდენთ შემდეგ თავში.
[დ.მაგრაქველაძე 2015]

რაც შეეხება გადაწყვეტილებით ფორმებს რისკებთან დაკავშირებით იგი ხდება შემდეგნაირად კონკრეტულ ორგანიზაციებში გადაწყვეტილებას იღებენ დირექტორები და მესაკუთრეები ხოლო რაც შეეხება სახელმწიფოს იგი რათქმაუნდა თავის მხრივ უნდა ცდილობდეს შესაძლო რისკების დადგომის შემცირებას. რისკს თავის მხრივ ახასიათებს დეკომპოზიცია და აგრეგირება განსხვავებას ამ ორ უკანასაკნელს შორის წარმოადგენს ის რომ დეკომპოციის

დორს ხდება რისკების დაყოფა სხვადასხვა კატეგორიებად რადგან მისი ერთიანი შესაძლო დანაკარგების გამოთვლა არის შეუძლებელი, კატეგორიებდ მისი დაყოფა კი შესაძლებელს ხდის ნაწილობრივ მაინც იქნეს განსაზღვრული რისკების შეფასება, ძირითადად მისი გამოთვლა და შეფასება ხდება ანალიტიკური დაკვირვების საფუძველზე როგორც ფინანსური ასევე არაფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ხოლო რაც შეეხება რისკის აგრეგირებით ფორმას სიტყვის მნიშვნელობიდან გამომდინარეც ლოგიკურია დავასკვნათ რომ რისკის განსაზღვრის ამ ნაწილში იგულისხმება ერთგავაროვანი მაჩვენებლების გაერთიანება მთლიანი სურათის დასანახად და ძირითადად იგი პორტფელური ინვესტიციების დროს გამოიყენება ანუ იგულისხმება ის რომ პორტფელური გადანაწილებით უნდა მოხდეს რისკების შემცირება, აქვე მინდა დავამატო ისიც რომ რისკის აგრეგირებ და დეკომპოზიცია არ გავიგოთ როგორც ურთერთ გამომრცხავი ინსტრუმენტები რისკების შეფასები დროს იმიტომ რომ მათი ერთიანი გამოყენება უფრო თვალსაჩინოს ხდის მოსალოდნელი ხდომილების დადგომა არდადგომის შესაძლებლობა. [დ.მაგრაქველაძე 2015]

რისკი თავისი არსიდან გამომდინარე რათქმაუნდა ყველასათვის ერთგავრ სიგნლას წარმოადგენ იმისას რომ შესაძლოა მოხდეს რაღაც არასასიამოვნო და მის დიდ მნიშვნელობას სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს. შეიძლება მკითხველს გაუჩნეს კითხვა იმასთან დაკავშირებით თუ რა კატეგორიას უნდა მოვაკუთვნოთ ზოგადად რისკი როგორც ცნება და როგორ უნდა ვიპოვოთ ამ ყველაფრისაგან გამოსავალი. გადაწყვეტილებების მიღება მარტივი ნამდვილად არ არის, სწორი გადაწყვეტილებების მიღება საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რისკებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებენ როგორც დირექტორები ასევე კომპანიათა მესაკუთრეებ მაგრამ ხშირია იმ შემთხვევათა კატეგორიაც როდესც მისგან თავის არიდებას ცდილობენ, წარმატების მიღწევა კი განსაკუთრებით ეკონომიკურ საქმიანობის სფეროში შეუძლებელია თუ არ მიიღე სწორი გადაწყვეტილება სწორ დროს ამას კი რათქმაუნდა თავის მხრივ აუცილებლად ჭიდება რისკების სწორად შეფასება და ვალიდური იმფორმაციის ხარჯზე დიროული გადაწყვეტილებები. ფინანსური რისკების არსებობა, მანამდე

მიეკუთვნება რისკებთა კატეგორიის ჯგუფს სანამ მისი შედეგიანობა აისახება. რისკების მართვის სპეციალისტთა უმეტესობა ფიქრობს რომ დროულად მიღებული სწორი გადაწყვეტილებებით შესაძლებელია დაძლეული იქნას რისკების შედეგად მიღებული დანაკარგების შემცირება, რათქმაუნდა რაც მაღალია დანაკარგის ალბათობა მით მეტია შესაძლო სარგებელიც ამიტომ რისკ ფაქტორების მაქსიმალური შემცირების ხარჯზე მიღებული შედეგები არ შეიძლება შეფასებული იქნას რომგორც ძალიან ეფექტურ მართვის სისტემა რადგან მასთან ერთად მცირდება სარგებელი რომელიც შესაძლოა ყოფილიყო მიღებული. ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ სამყაროში არ არსებობს არცერთი ნაბიჯი რისკის გარეშე რომელმაც შეიძლება ნებისიერ დროს დაგვცეს ზოგჯერ ძალიან მტკივნეულა ზოგჯერ კი შედარებით მსუბუქად.[ნ.მშენიერიძე 2020]

როგორც უკვე ვთქვით ნებისმიერ საქმიანობას თან ახლავს თავის შესაძლო რისკები და ყველაფერ ამას თავის სპეციფიკის და სამეცნიერო დონეზე აქვს თავის ახსნა მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად მაინც რა არის რისკი ბიზნესში? მრავალი უდიდესი მეცნიერის ნაშრომი არსებობს სადაც ყველა თავისებურად ცდილობდა ახსნას ის თუ საიდან მომდინარეობს ეს სიტყვა რა დატვირთვის მატარებელია და როგორ უნდა აღვიქვათ იგი არის ის უბრალოდ შემთხვევეითობა რომელიც თავისით წარმოიშვება თუ ჩვენი ვაკეთებთ არჩევანს მასზე? საბოლოოდ მეცნიერთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს ეს არის თავისუფალი გადაწყვეტილების შედეგი რომელიც ჩვენი არჩევანის შედეგად ვიღებთ, ამ მოსაზრებას ვეთანხმები პირადად მეც იმიტომ რომ უმეტეს წილად და განსაკუთრებით ფინანსური საქმიანობის დროს ჩვენი მიღწეული შედეგები არის ნაყოფი თავის დროზე მიღებული ჩვენი გადაწყვეტილებებისა რომელზედაც არჩევანი გავაკეთეთ. საწარმოო საქმიანობაში და არა მხოლოდ საწარმო, არამედ საერთაშორისო ბიზნესშიც ხშირად ვხდებით ტერმინს „გაუთვალისწინებელი ხარჯები“ რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოთვლილი და შეწყვანილი ფინანსური ხარჯებში და თქვენი აზრით რა არის ეს თუა არა რისკები

რომელიც გაუთვალისწინებელი ხარჯების სახით შეიძლება წარმოიშვას რომელიც თვის მხირვ რათქმაუნდა ამცირებს შემოსავლებს.[ნ.მშვენიერიძე 2020]

რისკი რათქმაუნდა ამ ყველაფერის გათვალისწინებით არის საფრთხე დანაკარგებისა რომელიც შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ დროს. რისკი თავისი არსით როგორც სიტყვა და როგორც ცნება ისტორიულ კტეგორიას განეუკთვნება იმიტომ, შესაძლოა ის სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარად ჟღერს და ალბათ განმარტებაც კულტურული მახასიათებლებით ქვეყნებს შორის განსხვავებული მაგრამ აღქმადობის თვალსაზრისით იგი ყველასთვის ერთი და იგივე დანიშნულების მატარებელია რადგან როგორც უკვე ვთქვით ამ სიტყვის ქვეშ მოიაზრება გაუთვალისწინებლობა, ზარალი, დანაკარგი, გაუთვალისწინებელი დანახარჯები რომლის გავლენის შედეგადა შეიძლება მოხდეს მციროდენი ცდომლება მისაღებ და მიღებულ შედეგებს შორის.

მრავალი ტერმინი იქნა ჩვენს მიერ გამოყენებული და საბოლოო ჯამში მივდივართ იქეთკენ რომ განსაზღვროთ არა ის თუ რა სიტყვა შეიძლება იქნეს გამოყენებული ამ ამა თუ იმ სფეროში ნაცვლად რისკის არამედ ის თუ რა კავშირები მოიაზრება ამ ტერმინების საერთო ანალიზით და დასკვნით რომელთა საერთო წარმომადგენელია სიტყვა რისკი. რისკის არსებობა ეს არის ერთგვარი ხდომილება რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს ანუ აქედან ვასკვნით იმას რომ რისკი არის პირველ რიგში შესაძლებლობა და მას მოყვება ამ შესაძლებლობის ხდომილება ანუ ალბათობა იმისა რომ ეს შესაძლებლობა იქნეს რელობად ქცეული ცალკე განხილვის საკითხია, ჩვენ მთავარ სათქმელს მარტივად რომ ვთქვა წარმოადგენს ის რომ თუ მაგალითად მე ეს კონკრეტული ნაშრომი ვერ დავასრულე მოცემულ დროში რისკი იმისა რომ ვერ მოვიპოვო შესაბამისი ხარისხი არის ძალიან დიდი და ეს არის ერთგვარი ხდომილება მაგრამ თუ მე ამ ნაშრომს დავასრულე დროზე ადრე გამოდის რომ ეს ხდომილება ყოველთვის ცუდი არ არის პირიქით ის კარგია. სამყაროში რათქმაუნდა ყველაფერი სხვანაირად ხდება მაგრამ მაგალითიდან გამომდინარე ვრწმუნდებით რომ რისკების სწორად განსაზღვრება შფასება და შესაბამის მოქმედებების განხორციელება ამცირებს მოსალოდნელ საშიშორებებს. ამიტომაც

ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების დროს აუცილებლად უნდა მოხდეს მოსალოდნელი რიკების შეფასება გამოთვლა და ანალიზი. ეკონომიკური სუბიექტის მიზანია სასურველი შედეგის მიღებაა რომელიც რათქაუნდა თავისი არსით ხდომილებას წარმოადგენს ამიტომ რისკებიდან თავის არიდების მცდელობა და მათი არასერიოზული აღქმა დამღუპველიც კი შეიძლება აღმოჩნდეს საქმიანობისთვის. ფინანსური რისკი თავისი არსით წარმოადგენს მეცნიერებას რომელიც უნდა იქნეს შესწავლილი მართვის ყველა საფეხზე სწორი და შედეგის მომცემი გადაწყვეტილებების მისაღებად. რისკი ყოველთვის არ არის ზარალის მომტანი ამიტომაც თუ გნებავთ მიიღოთ ფინანსური სარგებელი და გახსნათ შამპანიური აუცილებელია გარისკოთ, გარისკოთ სწორად შესაბამისი შეფასებების ანალიზი და გათვლების საფუძველზე.

1.2 ფინანსურ რისკთა კატეგორიები და მათი ანალიზი

რისკებთან დაკავშირებით უკვე იყო მსჯელობა და ვეცადე ჩამომეყალიბებინა ჩემი მოსაზრება ამ ცნებასთან დაკავშირებით ასევე გვქონდა საუბარი იმ არაპროგნოზირებად გარემოებებზე ფინანსური სამყაროში და მის გავლენის შესახებ.

ფინანსური რისკები წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ნებისმიერი ბიზნესისათვის გლობალიზაციამ როგორც უკვე ვთქვით გაზარდა რისკთა სახესხავოებები და რათქაუნდა იძულებული გახდა ეკონომიკური სუბიექტები მოძებნათ სხვადასხვა გამოსავლის გზები რისკის შესამცირებლად, მაგრამ სანამ გამოსავლის გზებზე დავიწყებდეთ საუბრს აუცილებელია განისაზღვროს იმ რისკთა კატეგორიები რომელიც შეიძლება წამოიქმნას ეკონომიკური საქმიანობის დროს და მოხდეს მათი ანალიზი.

რისკის განსაზღვრება შეიძლება როგორც მოულოდნელი დადებითი ან უარყოფითი შედეგის მომტანი ხდომილება ნებისმიერი მოქმედებას ან უმოქმედობას რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა სახის დანაკარგი შგვიძლია შევფასაოთ როგორც რისკი, მრავალი სახის რისკის არსებობს ფინანსურ სამყაროში კი ფარდობით რისკები შეიძლება დაიყოს სამ ტიპად ესენია

1) ბიზნეს რისკი 2) არა სამეწარმეო რისკი 3) ფინანსური რისკი. განვიხილოთ თითოეული მათგანი და შემდეგ უშვალოდ განვსაზღვროთ კონკრეტულად ის რისკები რომელიც ფინანსების ქვეშ მოიაზრება

ბიზნეს რისკი: ამ ტიპის რისკები ძირითადად როგორც წესი თავად ბიზნეს საწარმოები ქმნიან რათა მაქსიმალურად განზარდონ აქცეზის ღირებულება და მოიზიდონ უფრო მეტი აქციონერი, ამ ყველაფერს მიმზიდველს ხდის შესაძლო მაღალი მოგების მიღება, მაგალითად ნებისმიერი ახალი პროდუქტის წარმოება და მიწოდება ბაზარზე საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული რაც გარკვეულწილად რისკს წარმოადგენს რომელმაც შეიძლება მოიტანოს კარგი მოგება ან ზარალი.

არასამეწარმეო რისკი: ამ სახის რისკები არ არის დამოკიდებული რომელიმე ბიზნეს სუბიექტის საქმიანობაზე და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგზე ამ სახის რისკების ქვეშ მოიაზრება რისკი რომელიც განპირობებულია პოლიტიკური და ეკონომიკური დისბალანსიდან რომელიც მოიაზრება როგორც არა სამეწარმეო რისკთა კლასი.

ფინანსური რისკი: ტერმინიდან გამომდინარეც შეგვიძლია დავასკვნათ რომ ეს არის დაკავშირებული რისკებთან რომელიც უშალოდ ფირმების ფინანსურ ზარალას ან შესაძლო მოგებას მოიაზრებს და ეს რისკი ძირითადად წარმოიქმნება ფინანსური ბაზრების არასტაბილურობისა და დანაკარგების გამო.

ცხრილი 1.2.1 ფინანსური რისკები

საბაზრო რისკები	საკრედიტო რისკი	ლიკვიდურობის რისკი	ოპერაციული რისკი
პოლიტიკური რისკი	სუვენერული რისკი	აქტივების ლიკვიდურობა	თაღლითობის რისკი
ეკონომიკური რისკი	ანგარიშწორების რისკი	ლიკვიდურობის დაფინანსების რისკი	ადამიანური რისკი
საპროცენტო განაკვეთის რყევების რისკი			მართვის მოდელის რისკი

სავალუტო რისკი			სამართლებრივი რისკი
საფონდო რისკი			
სასაქონლო რისკი			

[<https://www.simplilearn.com/financial-risk-and-types-rar131-article>]

სანამ უშალოდ აქ ჩამოთვლილ ფინანსურ რისკთა კატეგორების დეტალურ განხილვას დავიწყებდე მინდა შეგახსენოთ რომ ამ თავის პირველ ქვეთავში ჩვენ ვთქვით რომ მომდევნო თავში ვისაუბრებდით ფინანსური რისკების ძირითად კატეგორიებზე და აი ისინიც.

საბაზრო რისკი ფინანსური რისკების ერთ-ერთი კატეგორიაა რომელიც ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია რადგან მის ქვეშ მოიაზრება უმნიშვნელოვანესი საკითხები რომელთა ნეგატიურმა შედეგებმა შეიძლება მთლიანად შეცვალოს ამინდი ამა თუ იმ ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე, მას ასევე სისტემურ რისკადაც მოიხსენიებენ. საბაზრო რისკი ძირითადად შეიძლება წარმოიშვას ეკონომიკური რეცესიების ასევე სამოქალაქო ომების, პოლიტიკური არასტაბილურობის, სავალუტო რყევების, გეოპოლიტიკური თუ სხვა მრავალი არასასიამოვნო შემთხვევების შედეგად რომელიც საბოლოო ჯამში მთლიანად ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე ახდენს გავლენას გამომდინარე აქედან სირთულის გათალისწინებით ამ რისკის შემცირება და მართვა ნამდვილად დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს.

პოლიტიკური რისკი ქვეშ მოიაზრება ის საკითხები რომელიც გულისხმობენ სამართლებრივი და საკანონმდებლო ნორმებს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ხარისხიანობას, რათქმაუნდა ამის გარდა არის სხვა მრავალი ფაქტორებიც მაგლითად საკრედიტო პოლიტიკის თვალსაზრისით სადაც დიდი ყურადღება ექცევა კრედიტორების უფლებებს. ინვესტორებისათვის პოლიტიკური რისკის ჭრილში ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ სუბიექტებსა და მათ იდეოლოგიებს რომელბასაც შესწევთ ძალა ზეგავლენა მოახდინონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემო პირობებზე. აქვე

უნდა აღინიშნოს ისიც რომ განვითარებადი ქვეყნების მთავრობები რომელთა მიზანიც უცხოური ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს ცდილობენ დაიცვან უცხოელი პარტნიორები პოლიტიკური რისკებისაგან რათა უფორ მიმზიდველი გახადონ მათი ქვეყნა.

ეკონომიკური რისკი არის განმსაზღვრელი იმისა თუ რამდენად განვითარებულია ქვეყანა ეკონომიკური პოლიტიკის მართვის თვალსაზრისით ამ ყველაფრის მაჩვენებლებს კი წარმოადგენს ის თუ რა რაოდენობით საგარეო ვალი აქვს ქვეყანას და როგორია ამ ვალის დაფარვის მაჩვენებლები რა რეზერვები გააჩნია შესაძლო უარყოფითი მაჩვენებლების აღმოსაფხვრელად ასევე ეროვნული ვალუტის სიმყარე რამდენად სტაბილურია იგი , მთლიანი შიდა პროდუქტი, ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები ამ ყველაფრის ანალიზი რათქმაუნდა დიდ დროსა და გამოცდილებას მოითხოვს რომ აღარაფერი ვთქვათ დანახარჯებზე რომელსაც იგი მოითხოვს სამაგიროდ კი ვიღებთ იმას რომ მაქსიმალურად იქნეს ეკონომიკური რისკები შემცირებული რომელთა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში ეკონომიკური ზარალი გარდაუაღია რამაც შეიძლება გაკოტრებამდეც კი მიიყვანოს ამ ქვეყანაში მოღვაწე როგორც რეზიდენტი, ასევე არა რეზიდენტი ინვესტორი.

საპროცენტო რისკი ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დეტალი ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობისათვის რომელიც დაკავშირებული როგორც სესხებთანა ასევე პროცენტული მაჩვენებლებით სარგებლის მიღებასთან სადაც იგულისხმება რომ საპროცენტო განაკვეთები მუდმივად იცვლება, მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც რომ შესაძლოა სესხებთან დაკავშირებით პროცენტული მაჩვენებლის ფორმალური ცვლილება არ მოხდეს და ჩვენ მაინც მოგვიწიოს დამატებითი თანხების გადახდა რომელიც გამოწვეული იქნება იმ შემთხვევაში თუ ჩვენ შემოსავლების სავალუტო მაჩვენებლის ერთი ერთეული გაუფასურდება ჩვენს მიერ აღებული სესხის სავალუტო მაჩვენებლის ერთ-ერთეულთან შედარებით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ თუ სესხს ავიღებთ დოლარში და ჩვენი შემოსავალი იქნება ლარში, ლარის გაუფასურების შემთხვევაში საქმე გვაქვს

დამატებით ხარჯებთან რომელიც საპროცენტო რისკის გაუთვალისწინებლობის შედეგია.

სავალუტო რისკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კომპანიებისა თუ საწარმოებისათვის რომელთა საქმიანობებიც ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებში და შესაბამისად ანგარიშწორებაც ხდება ამათუ იმ ქვეყნის ეროვნულ ვალუტით, სავალუტო რყვების შედეგად მიღებულმა დანაკრებმა კი შეიძლება ძალიან დიდი ფინანსური ზარალი გამოიწვიოს.

საფონდო რისკი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ხასიათება იმით რომ რომ სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, იმფლაციური თუ საბაზრო რისკის შედეგად განიცადოს მნიშვნელოვანი რხევები რაც რათქმაუნდა ზეგავლენას იქონიებს საფონდო ბირჟებზე განთავსებული აქციების სარგებლიანობასა და მათი ლიკვიდურობის მაჩვენებლებზე.

სასაქონლო რისკის ეს არის მისი ღირებულების ანუ ფასის შემცირების ან ზრდის შედეგად მიღებული ზარალი, სხვადასხვა მაჩვენებლებთან ერთად სასაქონლო ღირებულებაზე გავლენას ახდენს როგორც ჭარბი მიწოდება ასევე მოთხოვნაც რომელიც როგორც უკვე ვთქვით შეიძლება გამოიწვიოს როგორც ზარალი ასევე მოგება აქვე უნდა აღინიშნოს ისიც სასაქონლო ბაზარი მაღალი ლიკვიდურობით ნამდვილად არ გამოიჩევა.

საკრედიტო რისკი ქვეშ ძირითადად დგანან ეკონომიკური საქმიანობის კატეგორიათ ის ჯგუფი რომლებიც გასცემენ ფულად სესხებს თავიანთ მომხმარებლებზე, მაგრამ არ უნდა დაგავავიწყდეს ისიც რომ საკრედიტო რისკის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს კომპანიები რომელთა საქმიანობაც არ იყოს ფულადი სესხების გაცემა მაგრამ იგი შევიდს საკრედიტო ურთიერთობის სახით თავის მომწოდებლებთან, ამ მხირვ რათქმაუნდა იქნება ისე სახელწიფო კომპანია ბანკი თუ სხვა ეკონომიკური სუბიექტი იღებს რისკ საკუთარ თავზე რომ მსესხებელმა შეიძლება ვერ გადაიხდის ნაკისრი ვალდებულებით გათავალისწინებულ გადასახდს. საკრედიტო ურთიერთობის დაწყებამე რათქმაუნდა ხდება

მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა და ასევე მის მიერ წარსულში განხორციელებული მსგავის საქმიანობის შედეგების ანალიზი.

სუვერენული რისკი არის ფინანსური რისკების ერთ-ერთი სახე რომელიც გულისხმობს რომ რომელიმე ერთი ქვეყანა უარს ახადებს მის მიერ აღებული სესხის დაფარვას ვალდებულებაზე იგი ასევე ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს უცხოელი ინვესტორებისათვის რადგან თუ მაგალითად ინვესტორი გადაწყვეტს რომ მისი თავისუფალი ფულადი სახსრებ დააბანდოს შვეიცარიის რომელიმე კომპანიაში ხოლო შვეიცარიის ხელისუფლება თუ მიიღებს გადაწყვეტილებას რომ მოხდეს მლიანი ბიზნეს სექტორის ნაციონალიზაცია მაშინ ეს ინვესიცია რათქმაუნდა უშედეგო აღმოჩნდება საბოლოოდ რომ ვთქვათ სუვერენული რისკი არის სამთავრობო რისკი როდესაც სახელმწიფოს აღარ სურს ან ალა შესწევს ძალა გადაიხადოს საგრეო ვალი.

ანგარიშსწორების რისკის ქვეშ მოიაზრება ისეთი სახის რისკი როდესაც ხელშეკრულების გათვალისწინებული ანგარიშსწორების ფორმით არ ხდება ანგარიშსწორება კონკრეტული დროის გათვალისწინებით ანგარიშსწორების ფორმაში შეძლება მიყდველსა და გამყიდველს შორის იყოს მესამე მხარე მაგალითად ეს შეიძლება იყოს ბროკერი საფოდო ბირჟაზე რომელიც ერთგვარი გარანტორია ანგარიშსწორების რისკის მინიმუმადე დაყვანისათვის.

ლიკვიდურობის რისკი ეს არის რისკი როდესაც საქმე ეხება იმას თუ რამდენდ მარტივად არის შესაძლებელი აქტივების ფულად ერთეულად გადაქცევა არსებობს როგორც მაღალ ლიკვიდური ასევე დაბალი ლიკვიდური აქტივები კომპანიები ძირითადად მაღალ ლიკვიდურ აქტივებს ყიდნიან იმ დროს როდესაც მათ სჭირდებათ მოკლე დროში თავისუფალი ფულადი სახსრების მოძიება ბაზარზე ასვე უნდა ითქვას ისიც რომ ყველაზე მაღალ ლიკვიდური აქტივად ითვლება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები რომლის ფულად ერთეულად გადაქცევა ძალიან მარტივად და სწრაფად არის შესაძლებელი

ლიკვიდურობის დაფინასების რისკი არის ლიკვიდურობის რისკთა კატეგორია რომელიც გულისხმობს რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ შეასრულოს

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები და გამომდინარე აქედან ახდენს ლიკვიდურობის დაფინანსებას.

საპერაციო რისკი არის ფინანსური რისკთა კლასი რომელიც აერთიანებს ეკონომიკური საქმიანობიდან გამომდინარე სხვადასხვა რამოდენიმე რისკს ესენია 1) თაღლითობის რისკი: 2) საკადრო რისკი: 3) მართვის მოდელის რისკი: 4) სამართლებრივ რისკი: სანამ მოცემული კატეგორიების განხილვას დავწყობდეთ მინდა ერთი ორის სიტყვით საოპერაციო რისკების თვისებაზე გესაუბროთ. საოპერაციო რისკი არ გულისხმობს გრძელვადიან პერიოდში მოსალოდნელ რისკებს გამომდინარე აქედან ჩემი აზრით ყველაზე მეტ ძალისხმევას რისკების შეფასებისა და მართვით ნაწილსი სწორედ ეს კატეგორია მითხოვს იმიტომ რომ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე როგორც უკვე ვთქვით საოპერაციო რისკი ხასიათდება ოპერაციებით რომელიც ყოველდღიურად ხორციელდება და ისინი მოულოდნელად ხდება წარმატებელი.

თაღლითობის რისკი როგორც უკვე ვთქვით საოპერაციო რისკების კლასს განეკუთვნება და ეს არის არაკანონიერი ქმედება რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოტყუებით, ცრუ ინფორმაციის გავრცელებით რეალური ფაქტების დამახინჯებით, ნდობის ბოროტად გამოყენებით, როგორც მატერიალური ასევე არამატერიალური სარგებლის მიღება. თაღლითობის რისკი მრავალი სახის არსებობს და მისი მაჩვენებლები დღითიდღე იზრდება რომელიც რათქმაუნდა მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბიზნეს სუბიექტებს წარმატებული ბიზნეს საქმიანობების განხორციელებაში.

საკადრო რისკი განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკანასკნელ წლებში რადგა საერთაშორისო ბაზრებზე დღევანდელი კონკურენციის გათვალისწინებით წარმატების მიღწევა შუძლებელია თუ კომპანიაში არ იარსებებს სწორი საკადრო პოლიტიკა რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია ბიზნეს საქმიანობისათვის, რაც შეეხება უშალოდ რისკს ეს არის ალბათობა იმისა რომ ადამიანებმა შეიძლება არ დაიცვან ორგანიზაციაში მოქმედი ეთიკის ნორმები პრაქტიკა და წესები რომელებსაც ყოველღე

ასრულებენ საკადრო რისკის შედეგად შეიძლება იქნეს მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები თაღლითური და უკანონო მოქმედებები, საკადრო რისკის სწორად მართვა და მისი დასტაბილურება თანამედროვე საერთაშორის ბიზნესისათვის ნამდვილად ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

მართვის მოდელის რისკი როგორც ვიცით ფინანსებს მართვის მსოფლიოში აპრობირებული მრავალი მართვის მოდელი არსებობს რომელთა მიზანსაც წარმოადგენს რისკების მინიმუმადე შემცირება მაქსიმალური სარგებლის მიღება ბიზნეს საქმიანობის სტაბილური განვითარება. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა სხვადასხვა მართვის მოდელები არის სისტემა, რაოდენობრივი მეთოდი, ან უბრალოდ მიდგომა რომელიც რატემაუნდა ეყრდნობა, სტატისტიკურ, მათემატიკურ, ანდა თეორიულ მიდგომებს რომლის მიხედვითაც ხდება მონაცემთა დამუშავება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ამა თუ იმ მოდელის ეფექტურობის მიუხედავად არსებობს რისკი რომ ერთი კონკრეტული მოდელის დანერგვით რომელიც ეფექტური იქნება მართვის რაღაც საკითხებთან მიმართებით წამოშვას სხვა დამატებით გაუთვალისწინებელი რისკები რომელიც საბოლოოდ შეიძლება უფრო მეტად ზარალის მომტანოს ვიდრე სარგებელი.

სამართლებრივი რისკს რაც შეეხება ეს არის რისკი რომელიც ძირითადად გამოწვეული სახელშეკრულებო საკითხებში იესთი მნიშვნელოვანი პუნქტების გამოტევა რომელიც საბოლოოდ ფინანსური ზიანის მომტანი იქნება ბიზნეს საქმიანობისათვის, ხელშეკრულებების და ფინანსური გარიგებების დროს კონტრაქტების ხარისხიან შედგენას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება რადგან მასში გამოყენებული ნებისმიერ სიტყვასა და პუნქტს უდიდესი მნიშვნელობის შეიძლება აღმოაჩნდეს.

ფინანსური რისკების კატეგორიების განხილვა ამით დავასრულეთ მაგრამ აქვე მინდა მოკლედ დავახასიათო თავად რისკების ანალიზის ორი მაჩვენებელი და მათი თვისებები ეს არის 1) ხარისხობრივი 2)რაოდენობრივი- მაჩვენებლები.

[ნ.მშვენიერიძე 2020]

მათი ცალკე ცალკე გამოყოფა და რომელიმე მაჩვენებელზე უარის თქმა არასწორია რადგან ხარისხობრივი ანალიზით ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა დავინახოთ ის ძირითადი მიზეზ შედეგობრივი მოქმედებები რომლის შედეგადც მოხდა ამა თუ იმ სახის რისკის წარმოშობა ხოლო რაც შეეხება რაოდენობრივ ანალიზს რომლის უპირველს წყაროს ხარისხობრივი ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს შეგვიძლია გამოვთვალოთ ციფრებში ალბათობა იმისა თუ რამდენად რეალურია რისკის დადგომის შემსაძლებლობა და ამასთანავე ის შესაძლო მოგება ან ზარალი რომელიც შეიძლება იქნეს მიღებული ამ კონკრეტული რისკის დადგომისას. შეუძლებელია აწარმოო ეკონომიკური საქმიანობა რისკის გარეშე, მაგრამ მათი განსაზღვრის გარადა უმარავი რამ არის დამოკიდებული პერსონალურად მიღებულ გადაწყვეტილებებზე რომელიც უშალოდ კონკრეტულ ბიზნეს საქმიანობასთან არის დაკავშირებული. რისკი როგორც უკვე ვთქვით ეს არის ალბათობა რომელიც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს. რაც შეეხება რისკის დონის განსაზღვრას იგი მნიშვნელოვნად იცვლება დროთა განმავლობაში ამიტომაც ერთიდა იგივე რისკის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებიდნენ წარსულში მიღებულ გამოცდილებასა და შედეგებთან შედარებით. რაც შეეხება ფინანსური რისკების მართვასა და მსათან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს მომდევნო თვაში იქინება განხილული.

1.3 ფინანსური რისკებზე მოქმედი ფაქტორები მათი მართვის მეთოდები და პროცესები

საერთაშორის ბაზრებზე ნებისმიერი ინვესტორისათვის ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად დღევანდელი კონკურენციის გათვალისწინებით ფინანსური რისკების სწორად შეფასება, მათი მართვის პოლიტიკის და პროცესების განსაზღვრა ერთ-ერთ პრიორიტეტულ და პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. ნებისმიერი ბიზნეს საქმიანობის წარმატებისათვის ფინანსური რისკების მართვა შეუცვლელი ელემენტია,

ფინანსური რისკების სწორად მათვა აძლევთ მათ საშუალებას რომ უხელმძღვანელონ კომპნიას ფინანსურ ბაზრებს რთული სიტუაციების პირობებში, ის წარმოადგენს სტარტგეების შექმნის საძირკველს რისი გათვალისწინებითაც უნდა მოხდეს სამომავლო გეგმების განსაზღვრა ბიზნეს საქმიანობისათვის.

რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავება პირველ რიგში მოითხოვს ორგანიზაციის რისკის პროფილის განსაზღვრას, რისკის პროფილი კი თავის მხრივ დამოკიდებულია ატრიბუტებზე როგორც არის მაგალითად, ფინანსური მდგომარეობა, მართვის კულტურა, კონკურენტული გარემო სადაც ის მოღვაწეობს და ა.ს.შ. რისკის პროფილი ყველა კომპანიისათვის უნიკალურია და გამომდინრე აქედან მათი რისკები ერთი და იგივე გარემო პირობების მიუხედავად ოდნავ განსხვავებულია. რისისკების გადაწყვეტისა და გამოსავლის გზების პოვნა დანაკარგების მაქსიმალურ შემცირებას გულისხმობს ამ ყველარის განსაზღვრა კი ერთგვარი სახემძღვანელოა საქიანობის ნაბიჯ-ნაბიჯ განსავითარებლად, რისკების შესაძლო შედეგების წინასწარ განსაზღვრა უმნიშვნელოვანიასე რადგან როგორც უკვე არა ერთხელ ვახსენეთ ბიზნეს საქმიანობის განხორციელება წარმოუდგენილაი რისკების გარეშე. რისკების მართვის სირთულეს და სენსიტიურობას განსაზღვრავს ასევე ისე რომ მის მართვაში მონაწილეობენ როგორც მსხვილი და მცირე კომპანიების მენეჯმენტი, თანამშრომელები და აქციონერები, კერძო და საჯარო მოღვაწე კორპორაციები, ფინანსური ისნტიტუტები, საინვესტიციო ფონდები, ადგილობრივი საერთაშორისო მთავრობები.

რისკების მართვის მეთოდების განსზღვრამდე მოკლედ მინდა ვისაუბრო იმ საკითხზე თუ რომელ ფუნდამენტალურ მაჩვენებლებთან ხდება რისკების შეფარდება და ასევე იმაზე თუ რაზეა დაფუძნებული თავად რისკების ანალიზი.

რიკების შეფასებისას მათი შეფარდება ხდება კაპიტალის მოცულობასთან, შესაძლო მოგებასთან ან ფულის ნაკადებთან, რაც შეეხება იმას თუ რომელი მაჩვენებელის შერჩევა მოხდება ამ სამისგან დამოკიდებულია იმაზე თუ რომელი

საბაზისო ინფორმაციის გამოყენება მოხდება ანალიზის დროს. რაც შეეხება თავად ანალიზს ვიცით რომ რისკების ანალიზირება ხდება სტატისტიკისა და პროგნოზების შედეგად მიღებულ მონაცემებზე გამომდინარე აქედან როგორც ვხდევით რისკების კატეგორიზაცია, ზუსტი მონაცემების შეგროვება და მათი შესაბამის დახარისხება ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი საკითხია ფინანსურ რისკების მართვის პოლიტიკის განსაზღვრასა და გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური რისკების მართვა სპეციფიკური საკითხია რომელიც მოითხოვს როგორც დაზღვევის ასევე იმ საქმიანობის ანალიზს რა საქმიანობასაც ეწევა ფირმა.

რისკის მართვის წესებთან დაკავშირებთ სრულებით ვიზიარებ რჩევებს რომელებსაც ზაიარა ლუდუშაური თავის წიგნში „ფინანსური მენეჯმენტი“ აღწერს:

- 1) არ უნდა გარისკო იმაზე მეტი რამდენის შესაძლებლობასაც საკუთარი კაპიტალი გაძლევს.
- 2) აუცილებლად უნდა იქნეს განხილული რისკის შედეგები
- 3) რისკის სარგებელი აუცილებლად მეტი უნდა იყოს იმაზე რითაც ვრისკავთ
- 4) დათანხმება უნდა მოხდეს მაშინ როდესაც არასასურველი შედეგიანობა მინიმუმადე იქნება დაყვანილი
- 5) არ უნდა დავუწესოთ ჩვენს ფიქრებს დოგმა რომ თითქოს პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ ერთი გზა არსებობს [ზ. ლუდუშაური 2015]

ახალა კი მოვახდინოთ ამ კონკრეტული ჩამონათვალის ჩვენეული ინტერპრენტაცია და ცოტა უფრო ვრცლად ჩამოვაყალიბოთ ისინ. ბიზნეს საქმიანობის დროს კონკრეტული რისკის წარმოშობისას კომპანიამ არ უნდა მოახდინოს ისეთი სარისკო საქმიანობის განორცილება რომელიც მისი კაპიტალის შესაძლებლობებს აღემატება. ამ წესის გათვალისწინების მიზნს კი წარმოადგენს ის რომ ეკონომიკურმა სუბიექტმა არ განახორციელოს ისეთი სახის რისკი

რომელის უარყოფითი შედეგის დადგომის შემთხვევაში, რომელიც მუდმივად თან ახლავს რისკებს არ მოხდეს მისი სრული გაკოტრება, რათქმაუნდა სასურველი ის რომ კომპანიებმა შექმნან თავიანთი რეზერვები როგორც რისკების ასევე გაუთვალისწინებელი შემთხვევების შედეგად გამოწვეული დანაკარგების ასანაზღაურებლად ეს ყველაფერი ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კომპანიის შეუფერხებელ საქმიანობის განხორციელებას გრძელვადიან პერიოდში. მას შემდეგ როცა კომპანია დაადგენს რომ მის კაპიტალის მაჩვენებლები შემლებენ ამა თუ იმ რისკის გამკლავებას ჯერი დგება იმაზე რომ მოხდეს რისკის განხილვა და დადგინდეს ის თუ რა ნაბიჯების გადადგმა მოუწევს მას იქნებ კაპიტალი აკმაყოფილებს მაგრამ რისკი იმდენად მაღალია რომ მისგან მოგების მიღება შეუძლებელია და საერთოდ არ ღირს ამ რისკის გაწევ.?. რათქმაუნდა ცალსახაა ასევე ის ფაქტიც რომ რისკი გაწევის შედეგად შესაძლო მოგება ბევრად უნდა აღემატებოდეს იმ დანაკარგებს რომელიც შეიძლება მან გამოიწვიოს, სხვა შემთხვევაში ხომ არავინ დათანხმდება ასეთი რისკის გაწევას. რისკი ნეიტრალიზაციასა და მისი მინიმუმამდე დაყვანის გეზებზე ოდნავ მოგვიანებით გესაუბრებით, მანამდე კი მინდა გითხრათ, რომ კომპანიამამ გამიზნულად არ უნდა გადადგას სარისკო ნაბიჯები სანამ რისკის შედეგად შესაძლო უარყოფითი შედეგები მინიმუმამდე არ იქნება დაყვანილი და ბოლოს არ უნდა ვიფიქროთ რომ თითქოს რისკის დაძლევის მხოლოდ ერთი გზა არსებობს მთავარია სწორად განვსაზღვროთ და შევაფასოთ ისინი გამოსავალიც შესაბამაისად გამოჩნდებ.

როგორც უკვე ვთქვით ფინანსური რისკების მართვა დაკავშირებულია პროგნოზირებასთან, სწორი პროგნოზირების გაკეთება კი თავის მხრივ დაკავშირებულია ასევე კვლევასთან რომელიც დროსა და ხრჯებთან არის დაკავშირებული მის სირთულეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაც შეეხება მართვის ზოგად განსაზღვრებებს ის ყველა კომპანიისათვის ინდივიდუალურია.

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით პროცესის თანმიმდევრულობა ასე გამოიყურება

ცხრილი 1.3.1

პოტენციური რისკების გამოვლენა
რისკებზე მოქმედი ფაქტორთა გამოვლენა
პოტენციური რისკების შეფასება
რისკების ნეიტრალიზაციისა და მართვის მეთოდების შერჩევა
შერჩეული მეთოდების გამოყენება
მიღებული შედეგების შეფასება

[ზ. ლუდუშაური 2015]

რისკების მართვის პირველ ეტაპს წარმოადგენს რისკების განსაზღვრა თუ რა სახის რისკებთან გვაქვს საქმე და განსაზღვრა და ზედმიწევნით შესწავლა უმნიშვნელოვანესი საკითხია რადგან მართვის პროცესში წარმოჩენილი გაუთვალისწინებელი შემთხვევების შედეგები უარყოფიდა აისახება საბოლოო შედეგზე რაც რათქმუნდა რისკების არასრულფასოვანი შესწავლის შედეგი იქნება.

შემდეგი საფეხური ეს არის რისკებზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა რომელიც კიდევ უფრო მეტად სიღმისაეულ რისკების შესწავალ მოითხოვს იმის გათვალისწინებით რათა განისაზღვროს ის კონკრეტული ფაქტორორები რომელიც ზეგავლენას ახდენენ მათზე.

რისკების შეფაება დანაკარგების მაჩვენებლის მიხედვით უმნიშვნელოვანესია იმისათვის რომ განისაზღვროს რამდენად ღირს მსგავსი რისკზე წასვლა

შემდეგი საფეხური არის რისკების ნეიტრალიზაციის და მათი შემცირების გზები ეს ის საფეხურია სადაც კომპანიამ უნდა მოახდინოს მისი შესაძლებლობების და რისკის სირთულის რეალური წარმოჩენა და ამის შემდეგ ადაწყვიტოს რისკის შმეცირებისა და ნეიტრალიზაციის რომელ გზას აირჩევს, ამ საკითხთან დაკავშრებით კიდევ უფრო ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებ. ბოლოს კი უნდა მოხდეს შერჩეული მეთოდის გამოყენება და მირებული

შედეგების კონტროლი რათა განისაზღვროს რამდენად მომგეიანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციისა და მათი შემცირების გზების დეტალურად განხილვამდე მინდ ჩამოვთვალო ის გარემო ფაქტორებზე რომელიც გავლენას ახდენენ რისკებზე.

გარე ფაქტორები:

- ქვეყანაში არსებული ეკონომიკური განვითარების დონე
- ფინანსური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება
- იმფლაციის ტემპები
- მოთხოვნა-მიწოდების ტემპი
- კონკურენციის დონე
- დარგის მიხედვით ეკონომიკური განვითარებულობა
- კორუფციის დონე

ეს არის იმ გარე ფაქტორებთა არასრული ჩამონათვალი რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური რისკების მართვაზე, როგორც ვიცით გარემო ფაქტორებზე ზეგავლენის მოხდენა ან მათი შეცვლა ფინანსური საქმიანობის მქონე სუბიექტებს არ შეუძლიათ და იძულებულნი არიან ამ ყველაფრის გათვალისწინებით განახორციელონ თავიანთი ბიზნეს საქმიანობები.

[ზ. ღუდუშაური 2015]

შიდა ფაქტორები:

- სტრატეგია
- კაპიტალის სიდიდე
- ფინანსური რესურსები მოცულობა
- ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება

- ფინანსების მართვის ინსტრუმენტების სახეები
 - ფინანსური მენეჯერებისა და დაქირავებული მუშახელის კვალიფიკაციის დონე
- რაც შეეხება შიდა ფაქტორებს ეს ის ნაწილია რომლის მართვაც მთლიანად კომპანიაზეა დამოკიდებული და ამ შემთხვევაში გარე ფაქტორებთან შედარებით კომპანიას აქვს უფრო მეტი თავისუფლება გნახორცილოს მისთვის მისაღები სხვადასხვა ცვლილებები. [ზ. ლუდუშაური 2015]

ფინანსური რისკების მართვის მეთოდებთან დაკავშირებით უკვე ვთქვით რომ ყველა კომპანიისათვის რისკების შეფასება ინდივიდუალურია და გამომდინარე აქედან ახდენენ მის მართვასაც, მაგრამ არსებობს ფინანსური რისკების შემცირებისა და ნეიტრალიზაციის გეზები რომელთა გვერდის ავლაც შეუძლებელია ისინი შემდეგია

1) რისკების საკუთარ თავზე აღება. ეს ხდება იმ შემთხვევაში როდესაც კომპანია აფასებს რისკებს და მიღებული შედეგებზე დაყრდნობით თვლის რომ ამ რისკების დაძლევაა მისთვის შესაძლებელია, მამოტირებულ ძალას რისკების საკუთარ თავზე აღება წარმოადგენს მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა, ამ მხრივ კომპანიას აქვს არჩევანის გაკეთების უფლება, მაგრამ არის შემთხვევები როდესაც კომპანია იძულებულია საკუთარ თავზე აიღოს რისკები ასეთ შემთხვევაში საქმე ეხება ისეთ გარემო პირობებს სადაც მას არჩევანის უფლება რომელიც გარე ფაქტორებიდან შეიძლება მომდინარეობდეს.

2) რისკების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაცემა. გლობალიზაციამ როგორც უკვე ვქვით ფინანსურ საქმიანობებს ძალიან მნიშვნელოვანი კარები გაუხსნა მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე მაგრამ თავის მხრივ იმატა რისკებმაც კომპანიები ხშირად ახდენენ რისკების გადაცემას მომწოდებლებზე, მაგალითად როდესაც საქმე გვაქვს მალფუჭებადი საქონლის მიწოდებასთან მყიდველი კომპანია ყოველთვის აკისრებს პასუხისმგებლობას მომწოდებლებს საქონლის დაგვიანების, დაკარგვის ან სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით რაც რათქმაუნდა თავის მხრივ ამცირებს რისკებს.

3) რისკების დივერსიფიკაციას მიმართავენ იმ შემთხვევაში როდესაც როდესაც ერთი გარეიგება მაღალი რისკის შემცველია მაგრამ ასევე დიდია მოგებაც ამ შემთხვევაში ახდენ ორი სრულიად დამოუკიდებელი საქმიანობის განხორციელებას იმ მიზნით რომ თუ ერთი რომელიმე საქმიანობის შედეგად წარმოიქმნება დანაკარგები მეორე საქმიანობის შედეგად მიღებულმა მოგებამ გაანეიტრალოს იგი, რისკების შმეცირების ამ ხერხს ხშირად გამოყენებენ ფასიანი ქაღალდების ფორთფელებსი, სავალუტო მერყეობის დროს, და ა.ს.შ)

4) რისკების შემცირების კიდევ ერთ გზას წარმოადგენს რისკების გაერთიანება ეს ძირითადად ხდება მაშინ როდესაც პარტნიორის შემოერთების გზით რომელიც დაინტრესებული არიან ფირმის საქმიანობითა და შედეგებით რომელებიც მოახდენენ ამ კონკრეტული კომპანიის აქციტა შექმენას და ამით ხდება რისკების გაერთიანება სხვადასხვა გაერთიანებებზე რომელიც საბოლოო ჯამში ამცირებს შესაძლო დანაკარგებს აქციონერებსა თუ პარტნიორებზე გადანაწილებით.

5) რისკების დაზღვევა, წარმოადგენს რისკების შემცირების კიდევ ერთ ფორმას, რომლის გამოყენებაც ხდება შმედგენაირად ფირმა აზღვევს სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე რისკებს რომელმაც რისკის უარყოფით შედეგების დადგომის შემმთხვევაში დამზღვევმა უნდა აუნაზღაუროს კომპანიას ფინანსური დნაკარგები, რატქმაუნდა აღნიშნული პასუხისმგებლობას სადაზღვევო კომპანია იღებს ყოველთვიური სარგებელის სანაცვლოდ რომელსაც უხდის დამზღვევ კომპანია.

6) ჰეჯირება ეს არის რისკების დაზღვევის ერთ-ერთი სახე რომელიც ძირითადად გამოიყენება საფონდო ბირჟებზე აქციების ყიდვის ან ვულუტის ცვლილებათან დაკავშრებული რისკების დაზღვევისათვის. მას იყენებენ ინსვესტორები იმისათვის რომ შიძინონ ან გაყიდონ აქციები კონტრაქტში წინასწარ მითითებული ფასით დორის გარკვეულ მონაკვეთში, მაგალითად თუ თქვენ შიძნეთ აქციებს რომლებზეც ფიქრობთ რომ ფასები მოიმატებს, მაგრამ ასევე გინდათ რომ ისინი დააზღვიოთ შესაძლო ფასების კლების ანუ ფინანსური

დანაკარგებისაგან მაშინ აზღვევთ მათ ჰეჯირებით რომელიც უფლებას მოგცემთ გაყიდოთ ეს აქციები იმ ფასად რა ფასადაც შეიძინეთ მიუხედავად იმისა დაიკლო თუ არა ფასმა.

7) რისკების აცილება. ეს არის რისკების ნეიტრაიზაციის და მისი მათვის ყველაზე გამარტივებული ფორმა როდესაც უარის თქმა ხდება ამ რისკის მიღებაზე რათქმაუნდა ამ დროს კომპანია უარს ამბობს ასევე შესაძლო მოგების მიღებაზე, აქვე არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც რომ ფინანსური საქმიანობის მქონე სუბიექტი მუდმივად ამ გიზთ ვერ შეძლებს რისკების მართვასა და შეცირებას რადგან არის შემთხვევები რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ რომ მას არ შეუძლია უარი თქვას ყელ ასახის რისკებზე რადგან ერთის მხრივ შეუძლებელია და მეორეს მხრივ არ შეიძლება რადგან ამით კომპანიაები უარს ამბობენ გაურკვევული სახის მოგების მირებებზე. რისკებზე უარის თქმა ხდება მხოლოდ მაშინ თუ რისკის გაწევის შედეგად შესაძლო მომგებიანობა ძალაინ ნაკლებია დანაკარგებთან შედარებით, ასევე რისკზე უარის თქმა ხდება მაშინ როდესაც კომპანიას არ აქვს შესაძლებლობა საკუთარი კაპიტალის საშუალებით დაფაროს ის დანაკარგები რომელიც რისკების შედეგად შეიძლება იქნეს გამოწვეული. რისკებზე უარის თქმა არ უნდა იწვევდეს სხვა უფრი მაღალ რისკების წარმოჩენის შესაძლებლობას თუ ასეა უმჯობესა მივიღოთ და ვმართოთ ეს რისკები რთა თავი დავიზღვიოთ უფრო მეტი ფინანსური რისკების შესაძლო დანაკარგებისაგან. [ზ. ლუდუშაური 2015]

რისკების-მენეჯმენტის სისტემურობასთან დაკავშირებით არსებობს მართვის როგორც ობიექტური ასევე სუბიექტური ფუნქციები, ობიექტურ ფუნქციებს განეკუთვნება ყველა იმ ძირითადი საკითხის გადაწყვეტა რომელიც ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ, სუბიექტური ფუნქციი ეს არის ანუ კვლევების ჩატარება რომლის ხარჯზეც ხდება რისკების გადაწყვეტა.

სანამ რაიმე სახის გადაწყვეტილებას მიიღებდეს კომპნია მან აუცილებლად უნდა შექმნას მმართველი ჯგფუი ანუ მართვის ორგანო რომელიც ურთიერთკავშირის დამყარების გზით მიიღებს ყველა საჭირო იმფორმაციას

დანარჩენი ქვედანაყოფებისაგან რომლის შედეგადაც უნდა იქნეს აღმოფხვრილი ის არასასურველი შედეგების დადგომის ალბათობა რომელსაც რისკები იწვევს.

ახლა კი ცოტა რამ მინდა მოგახსენოთ და ამით დავასრულო ამ თავის განხილვა იმ მნიშვნელოვან საკითხებზე და ისტორიულად დამტკიცებულ შედეგებზე რომელსაც გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგია ჰქვია. რეალურად მრავალი კვლევის ანალიზის და მტკიცების მიუხედავად მივდივართ საბოლოო შედეგამდე რომ ფსიქოლოგიურად თუ არ ვართ მზად რისკების დასაძლევად მაშინ ყველაფერი ბევრად უფრო რთულია ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იქნა შესწავლილი ის რომ გადაწყვეტილებას ყოელთვის ობიექტურ რეალობა ანუ შედეგები რომელიც სუბიექტურმა აზროვნებამ უნდა დააბალანსოს და მათი რომელიმეს ჩამოშორება არაფრის მომცემია. რომ არა რისკი როგორი იქნებოდა ჩვენი ყოველდღიურობა ? და ზოგადად როგორი იქნებოდა კაცობირობის მიღწევები ? ამა თუ იმ მოვლენის აღქმა ყველას ინდივიდუალური აქვს ასე რისკების შემთხვევაშიც იმას რასაც ვერ აღიქვამს სხვა აღიქვამ შენ ან პირიქით თუ არ გარისკე არც გაგიმართლებს გამომდინარე აქედან მოკლედ რომ ვთქვათ ცხოვრება თავად არის რისკი ოღონდ განსხვავება ღირებულებებშია. მათემატიკოსი **დანიელ ბერნული** ამბობს „სიმდიდრის მცირეგაზრდის სარგებელი უკუპროპორციულია უკვე არსებული სიმდიდრის ზომის“ ანუ რა გამოდის ადამიანი მუდმივად მიიღებს იქითკენ რომ ცოტა უფრო მეტად გაზარდოს მისი ცხოვრების სარგებლიაობა. ალბათობის თეორია რომელიც უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს ფინანსური რისკების მართვაში გვაჩვენებს სხვადასხვა არჩევანს ბერნული განსაზღვრება შექმნა იმისა თუ ვინ ირჩევს რითაც ახალი დასაბმი მისცა გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიას რომელსაც ხშირად გამოიყენებენ. რისკებისადმი ლტოლვის ერთადერთი მიზეზი ხომ გამდიდრებაა, განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე ეხება ფინანსურ რისკებს. **შარპი** ფიქრობდა რომ “სწორედ ეს დამოკიბულები და სიმდიდრის სიყვარული ახდენდა ფასიანქი ქაღალდების როგორც ფასები მატებას ასევე კლებას”.

„არა სასურველი მოვლენის მოხდენის ან მოხდენის რისკი შეგვიძლია შემდეგი ფორმულით გამოვთვალოთ: რისკი=(შემთხვევის მოხდენის ალბათობა) X (შემთხვევის მოხდენისას მოსალოდნელი დანაკარგი)“ [დ.ნარმანია 201

თავი 2. ფინანსური რისკების მართვის შესაძლებლობები მსოფლიოში

2.1 ფინანსური რისკების ზრდა გლობალიზაციის პირობებში

მოცემული თემის დასაწყისში ჩვენ ვთვქით რომ გლობალიზაციამ ქვეყნებს შორის საზღვრები მნიშველოვანად შეამცირა ახლა კი მიწადა გესაუბროთ გლობალიზაციით გამოწვეული დადებით-უარყოფით, შესაძლებლობებსა და იმ ფინანსურ რისკებზე რომელიც თან ახლავს მას.

საერთაშორისო ბიზნეს გლობალიზაცია წარმოადგენს ურთერთკავშირებს სიმარტივეს რომლის შედეგადაც გეოგრაფიულად ერთმანეთთან ძალიან შორს მყოფი ქვეყნებსა თუ ცალკეულ საერთაშორისო კორპორაციებს შეუძლიათ უმოკლეს დროში დამატებით დროისა და რესურსის ძალისხმევის გარეშე განახორციელონ სავაჭრო ურთიერთობები ისე რომ ოფისიდან გასვლაც კი არ დასჭირდეთ. საერთაშორისო ბიზნეს გლობალიზაციამ სხვადასხვა ერის კულტურათა ზედმიწევნით შესწვლასა და ურთიერთშეთანაწყობას შეუწყო ხელი რაც წარმატებული საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებისათვის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს.

გლობალიზაციის ზრდასთან ერთად გაიზარდა ქვეყნებს შორის საზოგადოების მიგრაციის მაჩვენებლები ასევე გაიზარდა ქვეყნებს შორის წარმოების მაჩვენებლებიც. გამომდინარე აქედან კი თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ გლობალიზაციამ შეცვალა საზოგადოების დიდი ნაწილის ყოველდღიური ცხოვრების წესი რაც თავისმხრივ საბოლოო ჯამში აისახება მთლიანად მსოფლიოზე ყოველდღიურობაზეც, საერთაშორისო ბიზნეს გლობალიზაციას მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი ტექნოლოგიების განვითარებამ, მან მოიცვა ბიზნეს სექტორთან დაკავშირებული თითქმის ყველა სფერო ასევე კულტურა, პოლიტიკა, ეკონომიკა და ა.ს.შ იგი იმდენად სწრაფად და ფართო მასშტაბით

გავრცელდა რომ ვერ შეძლეს მისი განვითარების ერთი მიმართულებაში მოქცევა გამომდინარე აქედან ამ ყველაფერმა გამოიწვია ის რომ სხვადასხვა ქვეყნებს და რეგიონებს შორის მოხდა ერთმანეთზე გავლენების და დამოკიდებულებების გაზრდა რომელმაც თავის გავლენა იქონია ენობრივი, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკურ ტერიტორიულ და ა.ს.შ მიმართულებებზე [დ.ქათამაძე 2009]

საერთაშორისო ბიზნეს გლობალიზაციიშ შედეგია ის რომ ინდუსტრილად განვითარებად ქვეყნებს შორის ხდება კაპიტალის ნაკადების შემოდინება რაც ძირითადად განვითარებადი ქვეყნების წინსვლაზე მიუთითებს მაგრამ არსებობს რიგი შემთხვევები როდესაც ხდება ზრდის ტემპების კოლაფსი და მნიშვნელოვანი ფინანსური კრიზისები რომელიც ქვეყნებს შორის გლობალიზაციის შედეგად გამოწვეული ურთიერთ დამოკიდებულების შედეგია რომელიც შესაძლოა ჯაჭვისებურად გადავიდეს სხვა დანარჩენ ქვეყნებზეც.

ახლა კი შევეცდები ცოტა უფრო ვრცლად ვისაუბრო იმ საკითხებზე რაც შესაძლოა ერთი შეხედვით არ ჩანდეს სადც ძალიან მაღალია დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გავლენა დანარჩენ მსოფლიოს განვითარებად ქვეყნებზე, კერძოდ საუბარია იმაზე რომ საერთაშორისო ვაჭრობების განვითარებამ როგორც უკვე ვთქვით გაზარდა ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და გამომდინარე აქედან საჭირო გახდა რომ ცალკეულმა ქვეყნებმა განახორციელონ ცვლილებები რაც რათქმაუნდა გაურკვევლობის რისკთან არის დაკავშირებული. უნდა ითქვას ის რომ ბიზნეს გლობალიზაციებმა სამყარო თითქოს ერთი ნიშნულის ქვეშ მოაქცია რომელთა მბრძანებლები არიან ის ერთეული სახელმწიფოები რომლებსაც აქვთ ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი. ანუ გამოდის რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებითი მოხდა ახალი ფასეულობების შექმნა რაც რათქმაუნდა ზეგავლენას ახდენს მთავრობების მიერ მართვის სისტემების ტრადიციულ მეთოდებზე აქვე უნდა ითქვას ისიც რომ დამოკიდებულებათა ზრდა სხვა ქვეყნებზე გაიძულებს იმოქმედო იმ მოთხოვნების შესაბამისად რა მოთხოვნებიც აქვთ მათ.

რაც შეეხება გლობალიზაციის შედეგად გამოწვეული მიგრაციას რომელიც ერთგვარად შრომის გადანაწილებას გულისხმობს ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამ ყველაფერთან დაკავშირებით განვითარებადმა სახელმწიფოებმა მოირგო დასაქმებული მენეჯერების როლი რომელიც ვერ ახერხებს შეინარჩუნოს ის უმნიშვნელოვანესი აქტივ ძალა რომელსაც მიგრაციამ წასული საზოგადოება წარმოადგენს, ტვინების გადინება კი საბოლოო ჯამში რათქმაუნდა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. ამკარაა რომ გლობალიზაცია საფთხეს უქმნის მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების სახელმწიფო ინტერესებს [დ.ქათამაძე 2009]

თეორიულად არსებობს მოსაზრებები რომ ფინანსური გლობალიზაცია ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებს უკეთესად მართონ წარმოებისა და მოხმარების ცვალებადობასთან დაკავშირებული ბალანსი, გლობალური ფინანსების დივერსიფიკაციის არსი მდგომარეობს იმაში რომ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა მოახდინონ თავიანთი რისკების გადანაწილება მსოფლიოს ბაზრებზე, რადგან განვითარების გზაზე მდგომი ქვეყნების უმეტესობა სპეციალიზირებულია მათი წარმოებისა და ფაქტორული კომპეტენციის სტრუქტურებში. თეორიულად დასტურდება რომ განვითარებად ქვეყნებს შეუძლიათ მიიღონ უფრო მეტი სარგებელი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით საერთაშორისო მოხმარების რისკების გადანაწილების გზით ანუ მათი შიდა პროდუქტის ეფექტურად გაყიდვის შედეგად.

გლობალიზაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მუდმივად კავშირ ურთიერთობების განვითარება რაც რათქმაუნდა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების საზღვრებს მიღმა გატანასთან, ეს ყველაფერ კი თავის მხრივ იწვევს როგორც კაპიტალის შმეოდინებას ასვე მის გასვლას ქვეყნიდან, მუდმივი ურთიერთკავშირები საზღვრებს მიღმა გავლენას ახდენს საწარმოო და მართვის სტანდარტულ მოდელებზე რაც გამოწვეულია საერთაშორისო სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების შედეგად, საბოლოოდ კი მივიდვართ დასკვნამდე რომ საერთაშორისო საბაზრო რეგულირების შედეგად ხდება სახელმწიფოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობის შეზრუდვა.

ფინანსური გლობალიზაცია წამოუდგენელია ღია ეკონომიკის გარეშე ხოლო მისი ურთიერთქმედება სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს 1) როდესაც ხდება საქონლისა და მომსახურების ყიდვა გაყიდვა 2) კაპიტალური აქტივების ყიდვა გაყიდვად მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. ღია ეკონომიკა როგორც სტრატეგია განვითარებადი ქვეყნებისათვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ფინანსური გლობალიზაციის გზაზე, რომელიც იწვევს კონკურენციის ზრდას შიდა ბაზრებზე, ასევე მნიშვნელოვნად მცირდება სახელწიფოს მმართველობითი როლი ეროვნულ ბაზრებზე რაც განპირობებულია ეკონომიკურად დმოკიდებულების ზრდით გარე ფაქტორებზე.

გლობალიზაციის უარყოფით მხრეს ასევე წარმოადგენს ის რომ ეროვნული ეკონომიკისათვის ღია ბაზრის სტრატეგია ზრდის კონკურენციას რაც ავტომატურად უთანასწორო ბრძოლაში რთავს განვითარებად ქვეყნებს სადაც უფრო მეტ სარგებელს იღებს ის ვინც ამ ბაზრის მთავარი მოთამაშეა და ხშირ შემთხვევაში ესენი დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ან გაერთიანებები არიან ეს ყველაფერი კი ხელს უშლის განვითარებად ქვეყნებს მიჰყვანენ განვითარებული ქვეყნების გზას ფინანსური დამოუკიდებლობისა და ეროვნული ეკონომიკის გაძლიერების გზაზე.

ფინანსური გლობალიზაციის უმთავრეს და ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს საერთაშორისო ფინანსები წარმოადგენს რისი საწყისადაც ტექნოლოგიური განვითარებები მოიაზრება რამაც ხელი შეუწყო სწრაფ იმფორმირებულობას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ინფორმაციულ ტექნოლოგიებს მოიაზრებენ როგორც დამატებით ფაქტორი წარმების დანარჩენ სამ ფაქტორთან მიწა, შრომა, კაპიტალთან ერთად. ფინანსური გლობალიზაციაში ჩართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს ის რომ უკიურესად სიღარბის პირას მდგომი ქვეყნებისა და განვითარებადი ან გარდამავალი ქვეყნების, მსფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში ჩართვით მოხდეს მათი ეკონომიკური სტაბილურობა ცხოვრების დონის გაუნჯობესება, მაგრამ ყველაფერი ეს თავის მხრივ წარმოშობს რისკებს რომლებმაც შეიძლება საპირისპირო შედეგები გამოიწვიოს ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის თვალსაზრისით.

„აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი ფაქტორი, რომელიც წარმოადგენს მიზეზებს რისკისა და გნუსაზღვრელობის ახალი ეკონომიკის პირობებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერება, საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის და კაპიტალის მოძრაობის გაძინება, ახალი ფინანსური ტექნოლოგიების და ინსტრუმენტების გამოჩენა, სახელმწიფო რეგულირების შემცირება ეკონომიკის ძირითად სექტორებში და სხვა.“ [ნ.მშვენიერიძე 2020]

ფინანსური გლობალიზაციას ასევე თან ახლავს რისკები რომლებიც დაკავშირებულია კრიზისთან, მიუხედავად იმისა რომ ფინანსური კრიზისების ძირითადი განმსაზღვრელი საშინაო ფაქტორებია ასევე არსებობს სხვა ფაქტორები რომელიც ფინანსური გლობალიზაციის შედეგად არის გამოწვეული.

1) ღია ეკონომიკის პირობებში როდესაც ქვეყანის ფინანსური სისტემა საერთაშორისო ფინანსური ბაზრის ლიბერალიზაციას ექვემდებარება ის ავტომატურად ექვემდებარება ბაზრის დისციპლინს რომელსაც იყენებენ როგორც უცხოელი ასევე ადგილობრივი ინვესტორები, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს ჩაკეტილ ეკონომიკასთან ამ შემთხვევაში მხოლოდ ადგილობრივი ინვესტორები აკონტროლებენ და რეაგირებენ მასზე. ღია ეკონომიკის პირობებში როგორც უკვე ვთქვით მოქმედებენ როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ინვესტორები ამ უკანასკნელთა ერთობლივმა ძალამ და გადაწყვეტილებამ შესაძლოა წარმოქმნას კრიზისი და ფინანსური არასტაბილურობა რადგან როგორც იცით ადამიანები სტიმულებზე რეაგირებენ მათ შესაძლოა არასაჭირო რეაგირება მოახდინონ, სტაბილუარდ ფინანსურ და ეკონომიკურ გარემო პირობებში ისინი შეიძლება იყვნენ ზედმეტად ოპტიმისტურები ხოლო ცუდი ეკონომიკური გარემო პირობების დროს ზედმეტად პესიმისტურები რაც საბოლოო ჯამში იწვევს ქვეყნების ეკონომიკური სტაბილურობის დარღვევას ამიტომაც ღია ეკონომიკის პირობებში ფინანსური გლობალიზაციის დროს მცირე ცვლილებებმა ან თუნდაც სიახლეებმა შეიძლება გამოიწვიოს არასტაბილურობის რისკი რომელიც როგორც უკვე ვთქვით შეიძლება უცხოელი ინვესტორების ქმედებებით იქნეს მიღებული.

2) გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს კრიზისები თუ საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე არასტაბილურობაა რომელიც შეიძლება მრავალი გარემო ფაქტორთან იყოს დაკავშირებული ფინანსური ბაზრებზე არასტაბილურობის შედეგი შეიძლება გახდეს სპეკულაციური შეტევები ცენტრი რომელიც გამოიწვევს კრიზის იმ ქვეყნებშიც სადაც ფინანსურად სტაბილური მდგომარეობაა. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ამერიკის ჩინეთს შორის სავაჭრო ომი სადაც ამერკამ 160 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელზე მაღალი საიმპორტო გადასახდები დაუწესა რომელიც თავის მხრივ გაზრდიდა ფასებს დანარჩენი მსფლიოსათვის, საბედნიეროდ მათ მიაღწიეს შეთანხმებას მოგეხსენებათ ეს ორ ეკონომიკურად გიგანტი სახელმწიფოს „სავაჭრო ომები“ გლობალურ ეკონომიკურ რეცესიას შეუწყობს ხელს. რაც სწრაფად გადაედება მსოფლიოს დანარჩე ქვეყნებსაც.

3) გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს კრიზისი გარე ფაქტორებისაგან ქვეყანაში არსებული სტაბილური ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად თუ ქვეყანა უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებული გახდება უცხოური კაპიტალის ნაკადების მოულოდნელმა ცვლილებამ შეიძლება ფინანსური სირთულეები და ეკონომიკური ვარდა გამოიწვიოს, რაც შესაძლოა სართოდ არ იყოს დაკავშირებული ამ ქვეყანასთან. კალვო, ლეიდერმანი და რეინჰარტი (1996) წელს დაამტკიცეს რომ გარე ფაქტორები მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია განვითარებადი ქვეყნებში კაპიტალის შემოდინებისათვის რაც თავისმხრივი ასევე დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთებთან.

4) ფინანსურმა გლობალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური კრიზისი გადამდებობის გზით. ჩვეველებრივი რეალური სავაჭრო კავშირები როდესაც ორი ქვეყანა ერთმანეთთან ვაჭრობს ან თუ ერთსა და იმავე გარემო ბაზრებზე უწევთ ბრძოლა ერთ ქვეყანაში სავალუტო კურსის გაუფასურება აუარესებს მეორე ქვეყანაში კონკურენტულ უპირატესობას და რათქმუნდა მოქმედებს კონკურენტი ქვეყნის ვალუტაზეც საბოლოოდ კი ვიღებთ შედეგს ორივე ქვეყნის ვალუტის დევალვაციის სახით.

5) ასიმეტრიული ინფორმაცია. ფინანსურ კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი გლობალიზაციის პირობებში შიძლება იყოს ასიმეტრიული ინფორმაცია. დღეს სწორი ინფორმაციის მიღება საკმაოდ ძვირი ღირს ინვესტორები კი მუდმივად თვალყურს ადევნებენ იმას თუ როგორ რეაგირებენ სხვა ფინანსური ბაზრები და ცდილობენ დროულად მოახდინონ შესაბამის ცვლილებები ამ კონტექსტის გათვალისწინებით თუ დაშვებას გავაკეთებთ თურქეთის აქტივების ან საქონელზე ფასების ცვლილება შეიძლება სასარგებლო ინფორმაცია აღმოჩნდეს საქართველოში სამომავლოდ ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით ან პირიქით.

ექსპერტთა დიდი ნაწილი ფიქრობს რომ ლიბერალიზაციის და ქვეყნებს შორის ფულადი ნაკადების მოძრაობა განპირობებულია მცურავი სავალუტო კურსების შემოღებით, რომელიც ხელს უწყობს ფინანსურ არასატბილურობას ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ყველა ფაქტორს საბოლოო ჯამში მიყვავრთ გნუსაზღვრელობის რისკებთან რომელიც ზეგავლენას ახდეს როგორც კერძო ბიზნეს სუბიექტებზე ასევე მთლიანად სახელმწიფოზეც. გლობალიზაციამ თავის მხრივ ფინანსურ ბაზრებზე ახალი პრობლემების წარმოქმნას შუწყო ხელი კერძოდ კი იგულისხმება ის რომ ფინანსურმა ბაზრები გარდაიქმნა არა მხოლოდ რელაური ფინანსური მომსახურების შესრულების ადგილად არამედ ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალიზაციის პირობებში კომპიუტერული ოპერაციებით ფინანსური სპეკულაციების შესაძლებლობად. სპეციალისტების უმრავლესობა აღნიშნავს რომ საერთაშორისო სავალუტო მომსახურების 10% წამოდაგენს რეალურ მომსახურებას ხოლო დანარჩენი 90%-ი კი სპეკულაციური დანიშნულების მატარებელია ეს ყველაფერი კი რათქმაუნდა კიდევ უფრო ზრდის რისკებსა და კრიზისების წარმოქმნის შესაძლებლობას.

ფინანსური გლობალიზაციის სისიტემის სათანადოდ შესწავლისა და მართვისათვის აუცილებელია საერთაშორისო საქმოქმედო ნორმების შემუშავება და დაცვა პირველ რიგში კი ეროვნულ ბაზრებზე ინფორმირებულობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საფინანსო და საკრედიტო მომსახურების თვალსაზრისით, შემდგომ კი აუცილებელია აღმოფხვრილი იქინას ყველა

შესაძლო კორუფცია თუ უკანონო ვაჭორბა შესაბამისი მიდგომებით რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გვთავაზობენ. [გ.აბუთიძე 2020]

2.2 ფინანსური რისკების სტაბილურობა მთავრობის მიერ გლობალიზაციის პირობებში

გლობალური ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით შემოფოტებები დღითიდღე იზრდება დღევანდელი საერთაშორისო ფინანსური გარემოპირობებში ყველა სახისა თუ ზომის საწარმოს სჭირდება ძლიერი ფინანსური რისკის მართვის მექანიზმები, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ფირმის მიზნებისა და სტრატეგიების შესაბამის მოთხოვნებს, ასევე ხელს შეუწყოს გადაწყვეტილებების უკეთ მიღებასა და ეფექტურობას.

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი ეგრეთ წოდებული (WEF) ყოველწლიურად ახდენს გლობალურ შეფასებას შესაძლო რისკებისა რომელიც პოტენციურ საფრთხეს უქმნის მსოფლიო ფინანსური სამყაროს სტაბილურობას.

1990-იანი წლების რამოდენიმე ფინანსური კრიზისების გამოცდილებამ აჩვენა რომ ფინანსური სისტემების ეფექტიანობასა და განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანესია ყურადღება გამახვილდეს ფინანსური რისკების მართვის სისტემებსა და სტაბილურობის გლობალურ დონეზე. მაგალითადა საერთაშორისო ანგარიშსწორების საიმედო გადახდის სისტემის სრულყოფა ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური სტაბილურობისათვის რადგან იგი გავლენას ახდენს როგორც შიდა ასევე საერთაშორისო სავაჭრო და მომსახურებითი სახის ოპერაციებზე ასევე ფინანსური და არა ფინანსური ფირმების აქტიურ საერთაშორისო საქმიანობაზე, გამომდნარე აქედან გამოიკვეთა რამოდენიმე ფაქტორი რაზეც ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული როგორც ეროვნული ასევე საერთაშორისო ფინანსური სტაბილურობისათვის.

1) ფინანსური რისკების უკეთ გააზრება

2) სოციალურად ეფექტური გზების უზრუნველყოფა, კერძო სექტორის წახალისება და მარეგულირებელი გარემოს შექმნა ფინანსური რისკების უკეთ დასადგენად

3) ადრეული გამაფრთხიებელი სისტემების შექმნა ფინანსური კრიზისების მოახლოებასთან დაკავშირებით.

4) ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება კაპიტალის მობილურობის შედეგად წარმოქმნილი არასტაბილურობისაგან თავის დასაცავად

5) ეფექტური პოლიტიკის შემუშავება საერთაშორისო ფინანსური რისკების ზეგავლენისაგან შემცირებისათვის

6) საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და მარეგულირებლების მიერ შექმნილი იმ სანტანდარტების ფართო სპექტრისა რომელებმაც ხელი უნდა შეუწყოს ფინანსურ სტაბილურობას.

[E.G. Johnson 2000]

ფინანსური რიეკსბის უკეთ გააზრება გლობალიზაციის პირობებში ერთერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს, რადგან გამოცდლებეების მიუხედეად საერთაშორისო მასშტაბით რისკების განსაზღვრა მრავალ გარემო პირობებზეა დამოკიდებული რაც კიდევ უფრო ართულებს აღნიშნული საკითხის ადეკატურ გადაწყვეტას.

კეძო სექტორის წახალისებას და შესაბამის გარემო პირობების შექმნას რათა მოხდეს რისკების ადეკატურ დროში დადგენა და მათი შემცირების გზების პოვნა რაც შეეხება რისკების რეგულირებას ეს არის სტრატეგია და ტექნიკის ერთობლიობა რომელიც ქმნის რისკის მართვის ერთგვარ მექანიზმს. ეს უკანაკსნელი ყველა ქვეყნისათვის თუ საერთაშორისო კორპორაციისათვის ინდივიდუალურია რომელიც რისკ-მენეჯმენტს განეკუთვნება. მთავრობების ძირითადად საზრუნავს გლობალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური რისკების სტაბილურობისა და რეგულირებისათვის წარმოადგენს შესაბამისი მარეგულირებელი რეჟიმისა და თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავება

ფინანსური უსაფრთხოების, ეფექტურობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა. მსგავსი რეჟიმის შექმნა დააბალანსებს მარეგულირებელ წესებს, ზედმხედველობისა და ბაზრის დისციპლინას.

საშვალოვადიან პერიოდში როგორც წესი განვითარებად ქვეყნებს ღრმა ფინანსური და ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ეძლევათ შესაძლებლობა სიღარიბის დონის შემცირებისათვის. განვითარებადი ქვეყნის გონივრული საერთაშორისო ფინანსური პოლიტიკა შესაფერისი ინსტრუმენტია გლობალიზაციასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად. ჩვენს მიერ გლობალიზაციასთან ერთად თანმდევი შესაძლო რისკების მიუხედავად უნდა ითქვას საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისა და საერთაშორისო ფინანსური სტაბილურობის გარეშე შეძლებელია მივადწიოთ სასურველ მიზანს ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და სიღარიბის შემცირებასთან დაკავშირებით.

ფინანსური არასტაბილურობის მოკლე და საშუალო ვადიანი გავლენა რათქმაუნდა უარყოფითად აისახებ ეკონომიკური ზრდისა ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე ეს ყველაფერი კი უფრო მწვავე ფორმით გამოიხატება განვითარებად და დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ამ ყველაფრის ფონზე კი უნდა მოხდეს გაანალიზება იმისა თუ რამდენად მოქმედებს მსფლიოს ფინანსურ სამყაროში განვითარებადი ქვეყნების ღრმა სააჭრო და ფინანსური ინტეგრაცია. ემპირული ანალიზებით დასტურდება რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია საერთო ჯამში პოზიტიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ზრდის პერსპექტივებზე. ვაჭრობის ლიბერალიზაციის გავლენა საერთაშორისო ფინანსურ ცვლადებზე ნაკლებად მკაფიოა კვლევების უმეტესობა ამ საკითხთან დაკავშირებით დადებითი კოლერაცია აჩვენა მიუხედავად ამისა ფინანსური სექტორები რომელებიც საერთაშორისო კონკურენციაში ერთვებიან უფრო მეტ რყევებს განიცდიან.

თუ ვაჭრობის ლიბერალიზაცია იწვევს სპეციალიზაციის გაზრდას მასთან ერთად შეიძლება გაიზარდოს არასტაბილურობაც მეორეს მხრივ იმ სექტორებს რომელებიც საერთაშორისო ფინანსურ საქმიანობას ეწევიან შეიძლება ჰქონდეთ

სტაბილური ეფექტი იმის მიუხედავად რომ არასტაბილურობა შეიძლება გამოწვეული იყოს შიდა მიზეზებით. საერთო ჯამში როგორც ჩანს ვაჭრობს გახსნა და ფინანსური გლობალიზაცია უფრო მეტ რყევებთან არის უკავშირდება.

გლობალიზაციის შედეგები ფინანსური სექტორში მწვავე განხილვის საგანია. ერთის მხივ, ამტკიცებენ რომ კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაცია ზრდის განვითარებადი ქვეყნების დაუცველობას, რადგან ისინი დამოკიდებული ხდებიან სხვა დიდ სახელმწიფოებზე და ასევე მათ საფრთხე ემუქრებათ კაპიტალის უეცარი და მასიური გაყინვისაგან, რაც შეიძლება სულაც არ იყოს გამოწვეული შიდა ცუდი ფინანსური პოლიტიკით. მეორეს მხირვ ფინანსურ ლიტერატურებში მოცემულია მიზეზები, რის გამოც ფინანსური გლობალიზაცია ზრდის პროდუქტიულობას და ასევე კაპიტალის მოცულობას უფრო ეფექტური განაწილების გზით. კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაცია დადებითად აისახბა ზრდაზე. უცხოური კაპიტალის როგორც პირდაპირი ასევე არა პირდაპირი ეფექტების გამო, როგორც შეიძლება იყოს ადგილობრივი ფინანსური ბაზრების გაძლიერება, უკეთესი ფინანსური ინსტიტუტები, მართველობის ახალი ფორმები როგორც კერძო ასევე საჯარო სექტორში, და უფრო ძლიერი ეკონომიკა. ამასთანავე უნდა ითქვას რომ ფინანსური გლობალიზაციის ეს ორი მხარე ბოლოდროინდელი კრიზიების ფონზე ისევ საკამათოა. ალბათ ამ ყველაფერმა რომ დადებითი შედეგი გამოიღოს წინასწარ აუცილებელია ხელსაყრელი ფინანსური პოლიტიკა და შესაბამის რეფორმების განხორციელება თუ საწყისი პირობები შეუსაბამოა ამ ყველაფერმა შეიძლება ბევრად უფრო მაღალი ფინანსური რისკები გამოიწვიოს ვიდრე სხვა შემთხვევაში.

ფინანსური ბზრის სტრუქტურაში, შიდა ფინანსური ბაზრის და საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების ეტაპობრივ ლიბერალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ყველფრის მიზანსი კი არის ფინანსური სექტორის საერთაშორისო სტანდარტებთან ადაპტირების ხელშეწყობა, ფინანსური

სისტემის მოწყვლადობის შემცირება, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ფინანსური ცენტრების კონკურენტუნარიანობის გზრდა.

მსხვილი ფინანსური სექტორების პოზიტიური და დინამიური მაჩვენებლების მიუხედავად აუცილებელია მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერაც რათა მათ შეძლონ კონკურენციის გუჯობესება და საერთაშორისო ვაჭრობაში წარატებით მონაწილეობა. ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება შესაძლებელია ხარისხისა და მდგრადობის საერთაშორისო სტანდარტების ადგილობრივი და ფინანსური ბაზრების თანდათანობითი ლიბერალიზაციით. ლიბერალიზაციის ნაბიჯები უნდა იყოს ფრთხილი და თანმიმდევრული ფინანსური ბაზრების მარეგულირებელი და საზედამხედველო ჩარჩოების შესაბამისი. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგად მიღებული ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭიროა ჩამოყალიბებული ინსტიტუციური მმართველობის სტრუქტურა.

ფინანსურ პოლიტიკასან დაკავშირებით, ზემოთხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე ვასკვნიტ შემდეგს რომ შიდა ფინანსური და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება იძლევა უკეთეს შესაძებლობას გლობალიზაციის შედეგად გამოწვეული რისკების მინიმუმამდე შემცირებისა და ასევე გლობალიზაციის შედეგად მიღებული შესაძებლობების ეფექტიანად გამოყენებისათვის. პირველ პრიორიტეტად სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება წარმოადგენს, ეს კი ნიშნავს რომ სახელმწიფოს ხარჯები მუდმივად მიმართულია სახსრების განაწილების უფრო მეტი ეფექტურობისაკენ ანუ კონცენტრიცია მოხდეს პრიორიტეტულ სექტორებზე, უკეთესი ფინანსური მენეჯმენტის ჩამოყალიბებით. ასევე არ უნდ გამოგვრჩეს რომ ფინანსური სტაბილურობისა და ეფექტურობისათვის საგადასახადო რეფორმები მნიშვნელოვან როლს ატარბენ შემოსავლების წყაროებსა და მათი ეფექტიანად დივერსიფიკაციისათვის.

თუ ზასოგადოებრივი ამოცანები დაფინანსება პირდაპირ ან ირიბად ხდება გარე შემოსავლების დახმარებთ ეს ავტომატურად ამცირებს საშინაო

რესურსების მობილიზების სტიმულს ამის საპირისპიოდ კი ეფექტიანი და სამართლიანი საგადასახადო სისიტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს უცხოეთიდან შემოსულ დახმარებებზე დამოკიდებულების შემცირებას საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

სტაბილურად განვითარებად ქვეყნებში გადასახადები წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას კარგი მმართველობისა მთავრობასა და ხალხს შორის, ანგარიშვალდებულების გაძლიერების მიზნით, ისინი ვინც მაღალ გადასახადებს იხდიან ხშირ შემთხვევაში ინტერესდებიან გააკონტროლონ სახელმწიფო სახსრების გამოყენება და მოითხოვონ მაღალი ხარისხის საჯარო მომსახურება.

რაც შეეხება ფინანსების განვითარების სტრატეგიას თანამედროვე ფინანსებში სულ უფრო ხშირად გამოიყენება დაფინანსების ისეთი სტრატეგიები რომელიც აღარ არის მიმართული მხოლოდ არსებული დავალიანებების დაფარვისაკენ მაგრამ ამასთან ერთად იგი მოიცავს საბაზრო რისკებს და დაფინანსების ცაკლეული ხარჯების გათალისწინებას, ფინანსური წყაროების დივერსიფიკაციამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს ადგილობრივი ფინანსური ბაზრების განვითარებას, თავსი მხივ ამ ბაზრებსაც შესწევთ უნდარი მიიღონ ბუფერული ფუქცია რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო რისკების შემცირებას.

საბოლოო ჯამში ინსტიტუციური გაძლიერება და პოლიტიკური სტაბილურობა უდიდიესი მნიშვნელობის მატარებელია საერთაშორისო ფინანსური რისკების სტაბილურობისათვის, ბევრ განვითარებად ქვეყანაში ეფექტური ფინანსური ინსტიტუციების ჩამოყალიბება და მდგრადი განვითარება მხოლოდ გრძელვადიან პერიოდში არის შესაძლებელი, ამასთან ერთად დემოკრატიული და ფინანსური მართველობის ფორმებს და მის ერთგულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ რეფორმების წარმატებაში რომლებიც მიმართული იქნება ფინანსური ბაზრების გახსნისა და განვითარებისაკენ, მაგრამ არ შეიძლება ეს ყვეაფერ ჩავთვალოთ გარანტორად რადგან დიდი და ხანგრძლივი საერთაშორისო ფინანსური კრიზისებს, ფინანსური სტაბილურობის მიუხედავად ეკონომიკურ რეცესიებსა და შოკებს უარყოფითი

გავლენა მოაქვს მთელი მსოფლიოს მსშტაბით გამომდინარე აქედან შუძლებელია
შენარჩუნებული იქნას ფინანსური სტაბილურობა გლობალური კრიზისების
დროს. [Jean-Luc Bernasconi, Lukas Schneller 2008]

თავი 3. ფინანსური რისკების ანალიზი საფინანსო სექტორებში

3.1 ფინანსური რისკების მართვა კომერციულ ბანკებში

კომერციული საბანკო საქმიანობა მაშტაბური და მაღალი რისკების შემცველია ფინანსური მომსახურების გაწევის პროცესში მათ უწევთ მრავალი სახის ფინანსური რისკების გათვლა. გასული რამოდენიმე ათეულ წელთან შედარებით ბანკების ადგილი საფინანსო სექტორში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ზოგადად დღემდე ძალიან ბევრი რამ დაიწერა კომერციული ბანკების როლზე ფინანსურ სექტორში, როგორც აკადემიურ ლიტერატურაში ასევე ფინანსურ პრესაშიც, საბანკო სექტორი მნიშვნელობაზე ფინანსური სამყაროში ასევე მეტყველებს 2008 წლის კრიზის რომელიც ძალიან მძიმე შედეგი გამოიღო, კერძოდ საუბარია იმ ვადაგადაცილებული იპოთეკურ სესხებზე რომელმაც ლიკვიდურობის პრობლემები წარმოქმნა ამ ყველაფერს მოჰყვა ფასების ვარდნა უძრავ ქონებაზე რამაც გამოიწვია ის რომ ბანკებს მიერ იპოთეკით დატვირთული სახლების ფასები იმდენად დაეცა რომ მათი რეალიზაცია იმ ფასად რომ აეაზღაურებინათ მათ მიერ გაცემული თანხები შეუძლებელი იყო, რამაც ვირუსულად მოედო ჯერ საბანკო სექტორს შემდეგ კი დანაჩენ მსფლიოს.

გამომდინარე აქედან საბანკო სექტორის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საკმარისა ვთქვათ მხოლოდ ის რომ ფინანსური ბაზრის მონაწილეები მუდმივად მიმართავენ ამ ფინანსურ ინსტიტუტების მომსახურებას იმიტომ რომ მათ შესწევთ უნარი ბაზრის ცოდნის, გარიგების უზრუნველყოფის და დაფინანსების შესაძლებლობაც. ამ ჩამონათვლში ისინი ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ გარიგებების ნაწილის, როგორც ასეთი ისინი იყენებენ თავიანთ ბალანსს რათა მოხდეს იმ შესაძლო რისკები გნსაზღვრა რომელიც კონკრეტულ გარიგებებს თან სდევს.

იმისათვის რომ უკეთ გავანალიზოთ ფინანსური რისკების მაჩვენებლები რომელიც კომერციულ ბანკებში არსებობს, საჭიროა განვიხილოთ ის თანმდევი პროცესები რაც მათ ახლავს. როგორც არა ერთხელ

ვთქვით არ არსებობს ბიზნეს საქმიანობა რომელიც რისკთან არ არის დაკავშირებული რაც შეეხებ ბანკს მისი ძირითად რისკებს წარმოადგენს.

- საკრედიტო
- ლიკვიდურობის
- საბაზრო

რაც შეეხება ამ რისკების მართვის სტრუქტურას იგი შედგება სამეთვალყუეო საბჭოსაგანა რომელთა ვალდებულებასაც წარმოადგენს რისკის მართვის სტრატეგიების შემოშავება ასევე მათი იდენტიფიცირება და კონტროლი. [ზ. ლიპარტია 2018]

საკრედიტო რისკი საბანკო სისტემაში ეს არის ზარალის წარმოშობის შესაძლებლობა რომელიც შეიძლება წარმოიშვას მსესხებლების მიერ თანხის არ გადახდის გამო განსაზღვრულ დროის მონაკვეთში. რათქმაუნდა ბანკს აქვს თავისი მექანიზმები რომლის საშუალებითაც უნდ მოხდეს საკრედიტო რისკის განსაზღვრა კერძოდ საუბარია იმაზე რომ უნდა შეფასდეს მსესხებლის გადახდის უნარიანობა იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად დროულად მოახდენს იგი სესხის დაფარვას, ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სესხის სანაცვლოდ მიღებულ გირაოს რომელმაც ერთგვარი დაზღვევას წარმოადგენს ბანკისათვის იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი ვეღარ შეძლებს თანხის გადახდას.

რაც შეეხება მსხვილ ბიზნეს კრედიტებს ასეთ დროს ბანკი ყურადღებას აქცევს მსესხებლის ბიზნესის მენეჯმენტის ხარისხ და ასევე ითხოვს ფინანსური ანგარიშგების საკითხთან დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტს რომელიც ასახავს კონკრეტული ბიზნეს საქმიანობის ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებს. ბანკს ასევე აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს სტატისტიკურ მონაცემები კონკრეტული სახესხვაობის რისკების განსაზღვრისათვის.

სტანდარტული რისკებისაგანა განსხვავებით ბანკმა უფრო კომპლექსური ან თუნდაც დიდი რისკების შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოს სტანდარტული მიდგომე იგულისხმება ის რომ გადაწყვეტილების მიღებამდე გამოყენებული უნდა იქნას სხვა დამატებითი ინსტრუმენტები რადგან ნებისმიერი

გაუთვალისწინებელი ან სხვა ცვლილების შემთხვევაში რისკისადმი მიდგომები აუცილებლად უნდა განახლდეს. საკრედიტო რისკის მიდგომის სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს გადაყვეტილებების მარტივად მიღებას უფებამოსილების შესაბამის დებულებებთან ერთად.

იმისათვის რომ საკრედიტო რისკის შეფასება და შემდგომ მისი კონტროლი იყოს კიდევ უფრო ეფექტური ბანკმა უნდა გამოიყენოს შემდეგი მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

1) შესწავლილი იქნას როგორც მსესხებლის ასევე მეორე მხარის ბოლო რამოდენიმე თვის დიაპაზონში ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები.

2) ჩაუტარდეს მონიტორინგი იმ სესხების ხელშეკრულებებს რომელიც მაღალი რისკის მაჩვენებლებით გამოირჩევიან.

3) ბანკი ვალდებულია საკრედიტო რისკის მინიმუმამდე დაყვინსათვის ადეკვატური შეფასება მოახდინოს იმ უძრავი თუ მოძრავი ქონების რომელიც სესხის უზრუნველყოფისათვის ხდება დაგირავება.

4) კლასიფიცირება უნდა მოხდეს იმ სესხთა ჯგუფისა რომელიც დაფარვის ვადებთან დაკავშირებით პრობლემურია.

5) უნდა მოხდეს კომპლექსური ღონისძიებების გატარება სესხებთან მიმართებაში რომელმაც პრობლემური სესხების კლასში გადაინაცვლეს

რაც შეეხება მენეჯმენტის საინფრომაციო სისტემას მან უნდა მოახდინოს მონიტორინგის უზრუნველყოფა იმ თვალსაზრისით რომ დროლად იქნენ ინფორმირებული დირექტორთა ან შესაბამისი ადამიანთა ჯგუფი საკრედიტო რისკის ყველა სახის ლიმიტის გადაჭარბებასთან დაკავშირებით.

კომერციულ ბანკებს აქვთ ვალდებულება რომ მოახდინონ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აქტივებს კლასიფიკაცია და გაცემული სესხების შედეგად შესაძლო მოსალოდნელი დანაკარგების უზრუნველსაყოფად შექმნან რეზერვები იმ შემოსავალებიდან რომელსაც ისინი თავისი საქმიანობიდან იღებენ აღნიშნული რეზერვების ლიმიტებს აწესებს

ეროვნული ბანკი, სესხების კლასიფიკაცია კი სტანდარტულად იყოფა ხუთ ჯგუფად

- ✓ სტანდარტული სესხი:
- ✓ საყურადღებო სესხი:
- ✓ არასტანდარტული სესხი:
- ✓ საექვო სესხი:
- ✓ უიმედო სესხი:

საკირედიტო რისკებს თნ ახლავს **ლიკვიდურობისა** და **საპროცენტო** რისკი რომელასაც ამავე თავში განვიხილავთ მანამდე კი მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულმა ბანკმა უნდა გამოიყენოს თანმიმდევრული შეფასების სქემა მისი ინვესტიციების შესაძლებლობებისათვის რათა საკედიტო რისკისადმი გადაწყვეტილებები თანმიმდევრულად იქნეს მიღებული ამის ხელშეწყობისათვის საჭიროა პროცესებისა და დოკუმენტირების სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხი. [გ.ცაავა 2018]

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს ბანკის შესაძლებლობას ფულადი სახსრების მიღებაში, დაფინანსების ვალდებულების შესასრულებლად. ვალდებულებები მოიცავს მომხმარებლის მირ დეპოზიტების გატანის საშუალებას. თუ ბანკი ვერ შეძლებს დააკმაყოფილოს დეპოზიტარების მოთხოვნები ყოველდღიურად ეს გამოიწვევს ნდობის დაკარგვას მომხმარებლებში რაც გაზრდის მოთხოვნას მათი მხრიდან რომ გაიტანონ მათ მიერ დეპოზიტზე განთავსებული თანხები რაც კიდევ უფრო დიდ პრობლემას წარმოქმნის ბანკისათვის.

ბანკში ლიკვიდურობის პრობლემებს წარმოქმნის მოკლევადიან ფულად სახსრებზე დამოკიდებულება, ფულადი სახრების დაბანდება არალიკვიდურ აქტივებში და მომხმარებელთა მხრიდან ნდობის დაკარგვა. აქტივების დაბანდების ხანგრძლივობასთან დაკავშირებულმა არასწორმა მენეჯმენტმა ასევე შეიძლება გამოიწვიო დაფინანსების სირთულებები ეს კი ხდება მაშინ როდესაც

ბანკს აქვს მრავალი მოკლევადიანი ვალდებულება და არ გააჩნია საკმარისი მოკლევადიანი აქტივები.

მოკლევადიანი ვალდებულებები არის მომხმარებლის ანაზრები ან მოკლევადიანი გარანტირებული ინვესტიციების ხელშეკრულებები რომელიც ბანკმა უნდა გადუხადოს მომხმარებელს ერთი წლის განმავლობაში. თუ ბანკი თავისი მთლიან აქტივებს განათავსებს გრძელვადიან სესხებში ან ინვესტიციებში ბანკს შეიძლება წარმოექმნას შეუსაბამო აქტივ-ვალდებულებების ხანგრძლივობაში. ამასთან მიმართებაში რატემაუნდა არსებობს რეგულაციების ბანკის ლიკვიდურობის შესამცირებლად ეს კი იმაში გამოიხატება რომ ბანკი უნდა ფლობდეს საკმარისად ლიკვიდურ აქტივებს დროის ნებისმიერ მონაკვეთში რომელმაც მომხმარებლის მოთხოვნის გაჩენისთანავე უნდა დააკამყოფილოს ეს მოთხოვნა.

ლიკვიდურობის რისკების უკეთესად გაანალიზებისათვის საჭიროა ორ ნაწილად გავყოთ იგი. 1) ეს არის **საბაზრო ლიკვიდურობის რისკი** რომელიც გამომდინარეობს ბაზრის არასაკმარისი ლიკვიდურობისაგან რა დროსაც რელაური ფასი ძალაინ განსხვავდება ბაზარზე არსებული ფასისგან

2) ეს არის **საბალანსო რისკი** რომელზეც უკვე ვისაუბრეთ ანუ აქ საუბარია იმაზე რომ ფინანსური ორგანიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს გადახდის გამომდინარე თავისი მენაზრების ანდა კრედიტორების წინაშე იქიდან რომ მის საკუთრებაში არსებული აქტივები არ იყოს საკმარისად ლიკვიდური. [გ.ცაავა 2018]

რაც შეეხება ლიკვიდობის რისკის მართვასა და მისი შემცირებას ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით **მაიკლ დილი** გვთავაზობს საბანკო ლიკვიდურობის მართვის ოთხ ძირითად პრინციპს ესენია

1) **ლიკვიდურობის რისკის წინასწარ განსაზღვრა.** ლიკვიდურობის დეფიციტის გამოვლინება ერთ ფილიალსა თუ დაწესებულებაშიც საკმარისია იმისათვის რომ განისაზღვროს მისი მასშტაბები ამიტომაც მნიშვნელოვანია მოხდეს ბანკის მომზადება ლიკვიდურობის დეფიციტის დადგომამდე. ეს კი

ნიშნავს იმას რომ ბანკს უნდა გააჩნდეს მკაცრი მიდგომები და პროცესები ლიკვიდურობის რისკის იდენტიფიცირებისა და გაზომვისათვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის პროცესი უნდა შეიცავდეს სამომავლო სურათის დანახვას დღეს რომელმაც უნდა მისცეს ბანკს შესაძლებლობა განსაზღვროს მომავალში შესაძლო ექსტრემალური სიტუაციებზე რისკის ანალიზის ჩატარების უნარი ლიკვიდურობის დეფიციტის დროს.

2) ლიკვიდურობის რეგულარული კონტროლი. მას შემდეგ როდესაც მოხდება ლიკვიდურობის რისკების პროგნოზირება შემდეგ უნდა მოხდეს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ხარჯის აქტიური გაკონტროლება, ბანკის სიდიდიდან გამომდინარე ამ კონტროლისათვის საჭიროა მრავალი იურიდიული პირის ბიზნეს ხაზებისა და საერთაშორისო სავალუტო აღირცხვების ჩატარება. საბანკო ლიკვიდურობის რისკის მონიტორინგისა და კონტროლის ინსტრუმენტები უნდა შეიცავდნენ. 1) გლობალურ ლიკვიდურობის მაჩვენებლებს, 2) ბიზნეს საქმიანობის ლიკვიდურობის მაჩვენებლებს 3) ფულადი ნაკდების პროგნოზირებას 4) ყველა შესაბამის მარეგულირებელ კოფიციენტებს.

3) სტრეს ტესტები. ისევე როგორც ნებისმიერი სასწრაფო დახმარების ცენტრები რომელბიც ატარებენ მოულოდნელ წვრთნებს ექსტრემალურ სიტუაციებში ასევე ბანკმაც უნდა მოახდინოს რეგულარული სტრესული წვრთნების ჩატარება, რათა მოხდეს სხვადასხვა ლიკვიდურობის დეფიციტის განხილვა და მათი მართვის სწვალება. ეგრეთ წოდებული ეს სტრეს ტესტები უნდა მოიცავდეს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან შემთხვევებს, რომლებმაც უნდა განსაზღვროს ყველა შესაძლო შემთხვევა დადგენილი ლიკვიდურობის რისკთან დაკავშირებით. ბევრი რომ ადა გავაგრძელოთ იგი უნდა მოიცავდეს 1) ბანკის ყველა სპეციფიკურ მიმართულებას. 2) ინდივიდუალურ საბაზრო ცვლადებს 3) მრავალფეროვან კომბინირებულ ცვლადებს.

4) გაუთვალისწინებლობის გეგმა. სტრესული ტესტების შედეგების შესაბამისად უნდა მოხდეს შესაბამისი გეგმისა და რისკების მართვის

პოლიტიკის შემუშავება რომელმაც ნათლად უნდა ასახოს კომერცილი ბანკის სამომავლო გეგმა ლიკვიდრობის რისკების დაძლევის შესახებ საგანგებო სიტუაციებში. ეს გეგმა კი უნდა მოიცავდეს შემდეგ საფეხურებს 1) გამოიკვეთოს სხვადასხვა სტრესული გარემოს მართვის პოლიტიკა 2) პასუხისმგებლობების მკვეთრად განსაზღვრა და მათი დელეგირება 3) რეგულარულად მისი განახლება.

დღევანდელი ცვალებადი გარემოს გათვალისწინებით თუ ვიმსჯლებთ ლიკვიდრობის რისკების მართვა უფრო რთულია ვიდრე ოდესმე ყოფილა. დიდი კრიზისების დრო ბანკებს როგორც წესი აქვთ უფრო მეტი გამოწვევები, ასეთ დროს ეროვნული ბანკები ზრდიან რეგულაციებს, ასეთ დროს აუცილებელია ახალი და განსახვევებული მიდგომების შემუშავება მოკლედ რომ ვთქვათ მართვის პროცესების გაუმჯობესება არის საჭირო რომელიც შემდგომში ეხმარება ბანკებს მაღალი მოგების მიღებაში ბევრ სხვა სარგებელთან ერთად. [M. Deely 2014]

საპროცენტო რისკი: საპროცენტო განაკვეთების მუდმივი რყევები დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს ფინანსურ შუამავალებს მართვის თვალსაზრისით რომელიც უკანასკნელ წლებში მეტად აქტუალური გახდა. ეს არის იმ მრავალ რისკთან ერთ-ერთი რომელის წინაშეც ბანკები არც თუ ისე იშვიათად აღმოჩნდებიან ხოლმე და რათქმაუნდა შემოსავალებზეც ურყოფით ზეგავლენას ახდენს. რაც შეეხება საპროცენტო რისკის წარმოშობის ყველაზე გავრცელებულ შიდა წყაროებს ესენია.

1) ახალ განაკვეთის ფასთა რისკი. რომელიც ყველზე მაღალი სიხშირით გამოირჩევა. იგი წარმოიქმნება დროითი განსახვავებების შედეგად ვადიანობა ფიქსირებული კურსისა და გადაფასება მცურავ აქტივების დროს. მიუხედავად იმისა რომ ახალი განაკვეთის ფასწარმოქმნის ამგვარი გარემოება საბანკო საქმიანობისათვის მაღალი რისკის შემცველია, შესაძლებელია მოხდეს ისეც რომ დადებითად აისახო შემოსავლების ზრდაზე.

2) საბაზისო რისკი: იგი წარმოიშვება კორექტირების არასრულყოფილი კორელაციის შედეგად, განსახვავებულად მიღებული და გადახდილი განაკვეთების დროს რომლებსაც ერთგვარი ფასწარმოქმნის მახასიათებლები აქვთ. ამ განსხვავებებმა შეიძლება წარმოშვას მოულოდნელი ცვლილებები ფულადი სახსრების მოძრაობასა, აქტივებსა და ვალდებულებებში მოგებათა განაწილების დროს. აქვე მინდა დავამატო ის რომ გარდა ამ ორი წყაროსი ასევე არსებობს სხვა მიზეზებიც რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო რისკები. [P.Ngare 2014]

საპროცენტო რისკის მართვასთან დაკავშირებით კი შეიძლება ვთქვათ ის რომ ბანკს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ამ მიმართულებით მართვის ადეკვატური და თანამედროვე სისტემა რომელმაც უნდა უზრუნველყოს 1) ის შესაძლო სტრატეგიები რომელმაც საბლოო შედეგზე უნდა გაიყვანოს ბანკი 2) მართველი ორგნოების ვალდებულებათა და უფლებამოსილების განსაზღვრა 3) საბანკო ოპერაციებიდან გამომდინარე მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების დადგენა. 4) საპროცენტო რისკებზე პასუხისმგებელი ჯგუფის გამოყოფა. 5) საპროცენტო რისკების შეფასებისათვის მოდელების შემუშავება. 6) საპროცენტო რისკების მინიმიზაციისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების შექმნა. საპროცენტო რისკისათვის დამახასიათებელი გარემოებების წინასწარ იდენტიფიცირება, ასევე აუცილებელია ბანკის შიდა მართვის სისტემამ უზრუნველყოს ის ლიმიტებისა და სხვა შეზღუდვების განსაზღვრა რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საპროცენტო რისკები, და ბოლოს რატემაუნდა მონიტორინგთა ჯგუფი რომელიც რეგულარულად გააკონტროლებს ყველა იმ შესაძლო საფრთხესა თუ მოქმედებათა სისიტემას რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბანკისი დაცვა იმ შესაძლო ზარალისაგან რომელიც საპროცენტო რისკების შედეგად შეიძლება იქნეს გამოწვეული.

ჩვენს მიერ განხილული ეს სამი სახის რისკი კერძოდ საუბარია საკრედიტო ლიკვიდურობისა და საპროცენტო რისკებზე ერთმანეთთან ძალიან მჭიდრო კავშირში არიან, რადგან საპროცენტო რისკის პოლიტიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთების გამოყოფა რომლის

განსაზღვრავ ხდებ პირველ რიგში საკრედიტო განაკვეთის, უზრუნველყოფის არსებობისა და მისი ლიკვიდურობის, დაფარვის ვადების და ა.ს.შ მიხედვით. [გ.ცაავა 2018]

ამ თავის დასასრულს კი მინდა გაგაცნოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული დებულებები კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებასა და ვალდებულებების შესახებ. ბანკს მოეთხოვება რომ შიმუშაოს გეგმა იმ საფრთხეების მიმართ რომელიც ხელს უშლის თავისი საქმიანობასა და მიზნების მიღწევაში. რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს სულ მცირე უნდა მოიცავს შემდეგს.

1) რისკების მართვის პოლიტიკის დამტკიცება და შეფასება მინიმუმ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად ნებისმიერი ისეთი ფაქტორის შეცვლის გამო, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ბიზნეს საქმიანობაზე

2) რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით გატარებული საქმიანობის შესახებ დირექტორატის ანგარიშის შეფასება სულ ცოტა კვარტალში ერთხელ. დირექტორთა უფლებამოსილებამ და პასუხისმგებლობამ უნდა მოიცავს მინიმუმ შემდეგი სპექტები.

ა) რისკების მართვის დეტალური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება წერილობით ფორმით, რომელიც უნდა მოიცავდეს რისკების საერთო ლიმიტებს, რისკების კონკრეტულ სახეობების ლიმიტებსა და ბანკის ცალკეული საქმიანობის მიხედვით რისკების ლიმიტებს, რისკების განმსაზღვრელი დირექტორატს დაქვემდებარებული კოლეგიალური ორგანოების ან ცალკეული პირების უფლებამოსილებას.

ბ) რისკების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია უნდა გადაისინჯოს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად ნებისმიერი ისეთი ფაქტორის გამო, რომლის შეცვლამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის საქმიანობაზე.

გ) პასუხისმგებლობა რისკების მართვის პოლიტიკის განხორციელებისა და ბანკის წინაშე მდგარი ყველა რისკი გავლენისათვის, მათ შორის რისკების მართვის სამსახურის მიერ მოწოდებული ანგარიში საფუძველზე რისკების მართვის სტარტეგიის შეფასება, მითითებების მომზადება და კვარტლური ანგარიშების წარდგენა სამეთვლყურეო საბჭოსათვის.

დ) ბანკის დირექტორატის მიერ იმ ოპერაციების შეფასება და მათი განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა შესრულება აღემატება დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას, ან ისეთი ოპერაციების შესახებ, რომელიც მოითხოვს დირექტორატის თანხმობას შიდა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად.

ე) შიდა კონტროლის ეფექტიანობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რისკების მართვის კულტურის შემუშავება რაც გულისხმობს ადეკვატურ კომუნიკაციას ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა დონეზე.

ვ) რისკების მართვის განმახორციელებელ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მუდმივ სწავლების ორგანიზებას და ტრენინგების პროგრამების შემუშავებას, განსაკუთრებით ისეთი პროგრამებისა, რომლებიც ეხება რისკების მართვის პროცესებსა და სისტემებს.

ზ) რისკების მართვის სამსახურის დამოუკიდებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რაც ასევე გულისხმობს ფუნქციების გამიჯვნას რისკების მართვის სამსახურსა (რომელიც ახორციელებს რისკების განსაზღვრას, შეფასებას, მონიტორინგსა და კონტროლს) და იმ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს.

თ) განხილვის რეგულარულობა, რომლის სიხშირეც განისაზღვრება მოთხოვნების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს. თ.ა) რისკების შეფასების მეთოდოლოგიის სიზუსტე. თ.ბ) რისკების მართვის საინფორმაციო სისტემის ადეკვატური ფუნქციონირება. თ.გ) რისკების

პოლიტიკისა და პროცედურების სისორე და რისკების ლიმიტების დადგენა.
[საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №48/04 2014]

3.2 საქართველოს საბაზრო გახსნილობა და ფინანსური რისკების კვლევის შედეგები

საერთაშორსო ბზრებზე გასვლისათვის აუცილებელია ქვეყანის საბაზრო პოლიტიკა იყოს გახსნილი ანუ ეგრეთწოდებული ღია ეკონომიკის მქონე ეს რათქმუნდა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული ბაზარზე მოქმედი კომპანიებისათვის, ამ თავის მიზანია გაჩვენოთ ის სტატისტიკური მონაცემები და მათი ანალიზი რომლიც კვლევის შედეგად არის მიღებული საქართველოს როგორც საბაზრო ეკონომიკის გახსნილობისა და ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაფინანსების საკრედიტო და სავალუტო რისკების შესახებ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით საბაზრო გახსნილობის (მთლიანი სავაჭრო ბრუნვა / მთლიან შიდა პროდუქტი) 2015 წლიდან მოყოლებული დღემდე მაჩვენებელი ასე გამოიყურება.

ცხრილი 3.1.2

2015	2016	2017	2018	2019	2020
29,9%	27,8%	26,5%	28,6	27%	23%


სტატისტიკური მაჩვენებლებზე დაკვირვებითაც აშკარაა რომ საქართველოს მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, რომელიც დოლარიზაციის მაღალი დონის, ბიუჯეტური დეფიციტისა, და საერთაშორისო ფულად ნაკადებზე დამოკიდებულების შედეგად მაღალი საგარეო მოწყვლადობით ხასიათდება. ეს ყველაფერი მსოფლიოში განვითარებულმა ბოლო დროინდელმა მოვლენებმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა.

პანდემიის შედეგად საქართველოში საქონლის მომსახურების ექსპორტი-იმპორტი, ტურიზმი და მირებული შემოსავლები საერთაშორისო ფულადი გზავნილები და ასევე უცხოური ინვესტიციებიც მნიშვნელოვნად შემცირდა. პანდემიის შედეგად გამოწვეულმა კრიზისმა ფინანსური სმაყაროს წინსვლას და სტაბილურობას უდუდიდესი დარტყმები მიაყენა გამონაკლსი რათქმაუნდა არც საქართველოა მსგავის სახის კრიზისები ყველაზე მეტად ხომ განვითარებად ქვეყნებზე ახდენენ გავლენას.

რაც შეეხება კვლევას ჩვენი კვლევის ობიექტები იყვნენ კომპანიები რომელებიც ახორციელებენ როგორც მომსახურების ასევე საქონლის იმპორტ-ექსპორტს სახვადასხვა ქვეყნებში მიზანი კი იყო ის რომ გაგვრკვია როგორ უმკვლავდებიან იმ ფინანსურ რისკებს რომელიც მათ საქმიანობის შედეგად წარმოექმნებათ. კვლევა ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვით იმფომაცია კომპანიებთან დაკავშირებით მოპოვებული იქინა trade with georgia ბაზაზე და ასევე კომპეტენდური ადამიანების მითითებით მცდელობა გვექონდა დაკავშირებოდით 50-კომპანიას მაგრამ საბოლოოდ გამოკითხული იქნა 24-კომპანია, მკითხვარი შედგებოდა 8 კითხვისაგან და იგი ძირითადად შეეხებოდა ფინანსურ რისკებს.


I) კითხვაზე თუ რამდენ ქვეყანაში ახორციელებდნენ მომსახურების ანდა საქონლის ექსპორტს ან იმპორტს 25% (6) პროცენტი ამბობს რომ მხოლოდ ერთ ქვეყანაში ახორციელებენ თავის საქმიანობას. 21%(5)-კი მხოლოდ ორ ქვეყანაში. 54%(13)-კი ამბობს რომ სამ ან მეტ ქვეყანაში ახორციელებს თავოს საქმიანობას საჭიროებისამებრ

მომსახურებისა და სასაქონლო იმპორტ ექსპორტო



II) კითხვაზე საჭიროების შემთხვევაში რომელ ხერხს მიმართავენ ფულადი სახსრების მოსაძიებლად საქმიანობის დასაფინანსებისთვის 84%(21) საბანკო კრედიტს 0%(0) საერთაშორისო გრანტებს 12%(3) აქციების გამოშვებას 4%(1) სხვა


საჭიროების შემთხვევაში რომელ ხერხს მიმართვათ ფულადი სახსრების მოსაძიებლად



III) კითხვა იმაზე თუ რასირთულებს აწყდებიან საბანკო კრედიტის მიღებისას 42%(11) მაღალი საპროცენტო განაკვეთი 39%(10)-კი ამბობს რომ სესხის მიღების


პროცედურების სირთულე 19%(5)-კი აცხადებს რომ პრობლემა აქვს სესხის დამტკიცების ხანგრძლივობაზე

საბანკო კრედიტთან დაკავშირებული სირთულეები




IV) რა გზას მიმართავენ სავალუტო რისკების დაზღვევისას 16%(4) აცხადებს რომ საბანკო ანგარში აქვს დოლარში, ევროში, ან სხვა 42%(10)-კი ამბობს რომ ვაჭრობას ვახორციელებთ უცხოური ვალუტის პროპროციულად ასევე 42%(10) აცხადებს რომ არავითარი ფორმა არ აქვს შემუშავებული.


რა გზით ახდენენ სავალუტო რისკების დაზღვევას




V) კითხვაზე იციან თუ არა რა არის დაზღვევის ფორმა ჰეჯირება 67%(16) პასუხობს რომ იციან მაგრამ არ იყენებენ 25%(6)-კი პასუხობს რომ არც კი იცის რას ნიშნავს იგი 8%(2) იცის და იყენებს მას




VI) კითხვაზე თუ როგორ ახდენდნენ ანაგარიშვორების რისკებს პასუხები შემდეგნაირად განაწილდა 48%(12) აცხადებს რომ ამას წინასწარი ავანსის სახით ახდენს 40%(10)-კი ამბობს რომ კანონმდებლობის ძალით ხოლო 12%(3) მამბობს რომ თავდებობით (გირავნობით)




VII) კითვავზე თუ რას აქცევენ ყურადღებას ანგარიშწორების ფორმის შერჩევის მომენტში გვპასუხოებენ რომ 9,40% (3) კომპანიის ურთიერთ გამოციდლებით 15,6%(5) რისკის ხარისხის მიხედვით. 28,1% (9) თანხის მიღების სისწრაფე ხოლო 46,9% (15) ამბობს რომ კონტრაქტის მიხედვით კონკრეტული გარემოს გათვალისწინებით



VIII) კითვავზე თვლით თუ არა რომ ფინანსები საფუძვლები უნდა ისწავლებოდეს სკოლაში შემდეგი პასუხები მივიღეთ. 86%(24) ადამიანი თვლის რომ კი უნდა ისწავლებოდეს ის დაეხმარება ახალგაზრდებს ეკონომიკური სტაბილურობის განსაზღვრაში ხოლო 14%(4) თვლის რომ დამატებითი დანახარჯია იგი



IX) და ბოლოს გადავწყვიტეთ გაგვეგო მათი აზრი სამომავლოდ რისკების მართვის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მოლოდინები საქართველოში, რაზეც გვიპასუხეს რომ 42%(10) ამის შესაძლებლობები არსებობს მაგრამ ცოდნის ნაკლებობის გამო ამ სფეროში ხარისხის გაუმჯობესება ვერ ხერხდება 29%(7)ამბობს რომ დროთა განმავლობაში აუცილებლად გაუმჯობესდება ეს შეუქცევადი პროცესია. 17%(4)-კი გვიპასუხა რომ ფინანსურ ინსტიტუტებზე ეს დამოკიდებული ხოლო 12%(3)- გვითხრა რომ ამის შესაძლებლობები უახლოეს მომავალში არ იქნება



ჩვენი კვლევა რომ შევაჯმოთ ფულადი სახსრების მოძიების ნაწილში გამოიკვეთა საბანკო კრედიტის უპირატესობა რაც ნიშნავს იმას რომ საქართველოში საქმიანობის დაფინანსების ყველაზე გავრცელებული ხერი არის

საბანკო კრედიტი ხოლო რაც შეეხება ამ საკითხთან დაკავშირებულს სირთულეს წარმოადგენს მაღალი საპროცენტო განაკვეთი, და ასევე ამ მაჩვენებელთან ახლოს იდგა სესხის მიღებასთან დაკავშირებული პროცედურული სირთულე.

სავალუტო რისკების დაზღვევასთან დაკავშირებით კი კვლევის შედეგებით ირკვევ რომ გამოკითხულთა საკმაოდ დიდ ნაწილს არავითარი სახის დაზღვევას არ მიმართავს ამავე მაჩვენებლის იყო უცხოურ ვალუტაში ვაჭრობის პროპორციულად დაზღვევის ფრომა ხოლო რაც შეეხება დაზღვევის ფორმა ჰეჯირებას უმეტესმა ნაწილი არ იყენებს მას და ასევე საკმაოდ დიდმა ნაწილმა არც კი იოცდა მის შესახებ რაც უცოდინრობის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს.

საკრედიტო რისკთან დაკავშირებით კი გამოიკვეთა რომ გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი წინაწარი ავანსითა და კანონმდებლობის ძალით აზღვევს მას რომელიც არცთუ ისე ეფექტურია კონკურენცის თვალსაზრისით რაც შეეხება ანგარიშსწორების ფორმას კონტრაქტის მიეხედვით არჩვენ მას.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას განვიხილეთ ფინანსური რისკების სხვადასხვა სახეები და მათი მართვის მეთოდები რომელთა გამოყენებაც ვფიქრობ მნიშვნელოვნად შემაჯობებს რისკების შედეგად გამოწვეული დამატებით დანახრჯებსა და ფინანსურ ზარალს.

XXI-ე სუკუნის კონკურენციის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია რომ ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობის მქონე სუბიექტს გააჩნდეს რისკების მართვის სტრატეგია რომელიც გამოცდილებასა და კვლევებზე დაყრდნობით უნდა იქნეს შემუშავებული.

საერთაშორისო ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ნაშრომში განხილული საკითხების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა, რომ საბანკო სფერო განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია სხვა ფინანსურ სექტორებთან შედარებით თუნდაც იმიტომ რომ საბანკო კრიზისმა შეიძლება გამოიწვიოს სხვა ფინანსური სექტორების კრიზისი რაც ვურუსულად შეიძლება გადედოს სხვა დანარჩენ სექტორებს ამიტომაც საბანკო რისკების მართვა განსხვავებულ ადეკვატურ და ლოკალიზირებულ რისკების მართვას მოითხოვს.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ როდენობრივ კვლევას საერთაშორისო ბაზრებზე მოქმედი მომსახურების ან საქონლის ექსპორტ-იმპორტიორი კომპანიების ფულადი სახსრების მოიძიების, სავალუტო, და საკრედიტო რისკების მართვასთან დაკავშირებით საქართველოში, გამოიკვეთა დაპრკოლებები რომლებიც უარყოფ ზეგავლენას ახდენენ როგორც ფინანსურ სტაბილურობის ასევე მის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებზე.

ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით დაფინანსების ანუ ფულადი სახსრების მოიძიების მიმართულებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საბანკო კრედიტით ფულადი საშვალეების მიღება ფიქსირდება, მიუხედავად იმ სირთულისა რომელსაც საბანკო კრედიტის მაღალი საპროცენტო განაკვეთი წარმოიქმნის. მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორს სხვა ალტერნატივა არ აქვთ

გამომდინარე აქედან სწორედს ალტერნატივების არ ქონა აძლევს ბანკებს საშვალელებს რომ დააწესონ მაღლი საპროცენტო განაკვეთები გაცემულ სესხებზე. თავის მხრივ მაღალი საპროცენტო განაკვეთი ზრდის ხარჯებს რაც იწვევს ბიზნეს სექტორის კონკურენტუნარიანობის დაცემას რომელიც წარმოქმნის გაკოტრების რისკს.

იმისათვის რომ ეკონომიკური სუბიექტები არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ საბანკო კრედიტზე აუცილებელია განვითარდეს მისი კონკურენტი ანუ იგივე ფასიანი ქაღალდების ბაზარი რომელიც ხელს შეუწყობს კონკურენციის ზრდას რაც თავისთავად გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების შემცირებას სესხებზე, კომპანიებს კი გაუჩნდებათ არჩევანის შესაძლებლობა ისარგებლონ იმ სექტორით რომელიც მათთვის სასარგებლო და მიმზიდველი იქნება, როგორც ინვესტიციის დაბანდების ასევე თავისუფალი ფულადი სახსრების მოძიებისათვის.

სავალუტო რისკების მართვის კვლევასთან დაკავშირებით მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ ბიზნეს სექტორის უმეტეს ნაწილს არც კი ესმის თუ როგორ მართონ იგი. ამაზე მეტყველებს ისიც რომ გამოკითხულთა არც თუ ისე მცირე ნაწილმა არაფერი იცოდა ჰეჯირების შესახებ, იმფორმაციის ნაკლებობა წარმოქმნის რისკებს რომელიც ძალიან დიდ წინაღობებს ქმნის მომავალში. რაც შეეხება ამ პრობლემის მოგვარების საკითხი მდგომარეობს იმაში რომ უნდა მოხდეს კომპანიებში შესაბამის სექტორთათვის ცოდნის გაღმავება.

საკრედიტო რისკების კვლევისას გამოიკვეთა რომ გამოკითხულთა უმეტესობა ამ სახის რისკებს აზღვევს წინასწარი ავანსით რაც რათქმაუნდა სრულყოფილ საკრედიტო რისკების დაზღვევისაგან ძალიან შორს დგას, რადგან წინასწარი ავანსი წარმოქმნის რისკებს გადამხდელი კომპანიისათვის რაც რათქმაუნდა ყველასთვის მისაღები არ იქნება კანონის ძალით ამ რისკის უზრუნველყოფა კი დამატებით დროსა და ხარჯს მოითხოვს, დრო კი ყველამ ვიცით რომ ფულია. ამ რისკის შემცირებისა და დაზღვევისათვის კი მიგვაჩნია რომ სასურველია შეიქმნას დაზღვევის ფრომა

რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშწორების რისკებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფია

- 1) მაგრაქველაძე დ. „ფინანსური რისკები და მათი ხარისხის დაწვევის მათემატიკური მოდელები“ თბილისი 2015
- 2) მამაცაშვილი ე. „ფინანსური რისკების სისტემური მართვა გლობალიზაციის პირობებში“ დისერტაცია თბილისი 2019
- 3) ლუდუშაური.ზ „ფინანსური მენეჯმენტი“ თბილისი 2015
- 4) ნარმანია. დ „რისკ მენეჯმენტი ბინესში“ თბილისი 2012
- 5) ცაავა. გ „რისკოლოგია“ თბილისი 2018
- 6) ქათამაძე.დ „საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის საფუძველები “ თბილისი 2009
- 7) გელაშვილი. მ „რისკების მართვა კომერციულ ბანკებში. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“ თბილისი 2018.
- 8) მშვენიერიძე ნ. „ფინანსური რისკების მართვის ძირითადი თავისებურებანი: მსოფლიოს გამოცდილება და საქართველო“ თბილისი. 2020
- 8) თხელიძე ნ. „კომპანიის ფინანსური საქმიანობის ანალიზი და შედეგები“ თბილისი. 2020
- 9) მოროზი. ნ “საფინანსო ორგანიზაციებში რისკების მართვის საინფორმაციო სისტემის დამუშავება” დისერტაცია 2015
- 10) აბუტიძე.გ ცაავა.გ ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები „ფინანსური სექტორის გლობალიზაციის პრობლემები“ თბილისი 2020
- 11) ლიპატრია. ზ „ფინანსური მენეჯმენტის საფუძველები“ 2018
- 12) მაჩხაშვილი. ს „კომპანიების ინტერნაციონალიზაციის თანმდევ რისკები და მათი შესაძლებლობები საქართველოში“. თბილისი 2020
- 13) გოგოხია. მ „საბანკო საქმე“ თბილისი 2006

- 14) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №48/04 2014წ 17 ივნისი.
- 15) საქართველოს ეროვნული ბანკი „ფინანსური სტაბილურობის ანგარიში“ 2020
- 16) ლაზვიაშვილი. ნ „რისკმენეჯმენტი“ თბილისი 2010.
- 17) ჯიქია. მ სრესელი. ნ „სავალუტო რისკის მართვის თეორიული ასპექტები. 2017
- 18) „შიდა აუდიტის მეთოდოლოგია“ 2011
- 19) Karen A. Horcher “ESSENTIALS of Financial Risk Management” 2006
- 20) Eswar S. Prasad „Effects of Financial Globalization on Developing Countries Some Empirical Evidence“ International Monetary Fund 2003
- 21) Sergio L. Schmukler „Benefits and Risks of Financial Globalization: Challenges for Developing Countries“ 2004
- 22) E.G. Johnson „Financial Risks, Stability, and Globalization“ Washington, D.C. June 5-8, 2000
- 23) Jean-Luc Bernasconi, Lukas Schneller “Globalisierung und makroökonomische Herausforderungen” 01.05.2008
- 24) Anthony M. Santomero University of Pennsylvania, „Commercial Bank Risk Management: an Analysis“ 2014
- 25) Philip Ngare University of Nairobi „Interest Rate Risk Management for Commercial Banks“ 2014
- 26) Deely.M “4 Principle For More Robust Liquidity Risk Management”
- 27) <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba>
- 28) <https://www.investopedia.com/terms/f/financialrisk.asp>
- 29) <https://ka.thelittlecollection.com/top-ways-manage-business-risks-12579>

- 30) <https://www.simplilearn.com/financial-risk-and-types-rar131-article>
- 31) <https://www.denetim.com/ka/testler/stratejik-risk-yonetimi/piyasa-riski/>
- 32) <https://www.thebalance.com>
- 33) <https://home.kpmg/xx/en/home/services/advisory/risk-consulting/financial-risk-management.html>
- 34) <https://matsne.gov.ge/>
- 35) <https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/finance/major-risks-for-banks/>